ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

№ 55 (116) 23 თებერვალი 2010 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

## კიდევ ერთხელ აფხაზეთზე 2



## სოფელ ლატალის ზეპირსიტყვიერება 3

## ყველაზე ნათელი, რომელსაც ბნელი ახლავს 10

თენგიზ კუბლაშვილი

## ლავრენტი ბერია — ქართული გენია



4

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "საუკეთესო საფეხბურთო კლუბები"



## "ფეიენოორდი", როტერდამი, ჰოლანდია

12

## კიდევ ერთი წიგნი მეგრული ენის ფენომენზე




12




9

ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.



## საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია 1918-1921 წლებში

7

თემურ ქორიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიდევ ერთხელ აფხაზეთზე

**(ვაგრძელებთ წერილების ციკლის ბეჭდვას)**

სწორედ ამ ეპოქიდან, ლაზ-ჭანებიც ჭეშმარიტი ქრისტიანები გახდნენ.

ცნობილია, რომ ქრისტიანობის მსოფლიო კრებას, ქალაქ ნიკეაში (325 წელი) ეგრისის სამეფოდან ორი ეპისკოპოსი ესწრებოდა – ბიჭვინთის და ფაზისის.

ლაზები ფაზისის ეპარქიაში შედიოდნენ.

მართალია, ლაზიკის ძირითადი ნაწილი 1203 წელს ჩამოყალიბებულ ტრაპიზონის იმპერიაში მოექცა და დარჩა XV საუკუნემდე, მაგრამ ლაზები სარწმუნოებრივად დაცული იყვნენ და, ამ ეპოქაში, ლაზიკაში მრავალი ეკლესია და ქრისტიანული კომპლექსი აიგო.

ოსმალეთის მიერ ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ (XV) ლაზეთში შემოდის ისლამი.

როგორც მემატიანეები გვამცნობენ, ისლამის გავრცელება ლაზიკაში დიდი წინააღმდეგობებით აღინიშნა, მაგრამ დროთა განმავლობაში ისლამი მაინც მყარად დამკვიდრდა; თუმცა, ლაზები დღესაც არ ივიწყებენ მამა-პაპათა სამლოცველოებს – **"ოხვამეებს"** (**"ოხვამე"** მეგრულად სალოცავია).

**"ლაზური ანთროპოლოგია"** – მართალია, თითქმის 8 საუკუნეა, ლაზები მოწყვეტილი არიან მშობლიურ ხალხს და, ბუნებრივია, უცხო ატმოსფეროში ცხოვრებამ, მათ ანთროპოლოგიაში გარკვეული ცვლილებები გამოიწვია, მაგრამ, როგორც ცნობილი ანთროპოლოგი, ბატონი გ. აბდუშელიშვილი ამტკიცებს, ანთროპოლოგიურად, დღესაც არავითარი განსხვავება არ არის მეგრელებსა და ლაზებს შორის.

ლაზებს (მათ შორის ჭანებსაც) ისეთივე ტრადიციები, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები ჰქონდათ, როგორიც მეგრელებს. ასევე ერთნაირი ჰქონდათ ეთნოგრაფიული ყოფაც.

ბუნებრივია, რომ ლაზებისა და მეგრელების საუკუნეობრივმა განშორებამ განაპირობა გარკვეული განსხვავება მათ შორის, განსაკუთრებით ზემოხსენებულ კომპონენტში, მაგრამ არც ისე მნიშვნელოვანი, რომ ლაზების ჭეშმარიტ ქართველობაში, მეგრელებისა და ლაზების იდენტურობაში დაგვაეჭვოს.

ამდენად, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში, ეგრისის სამეფოს სამხრეთ ნაწილში წარმოჩინდა ახალი ადმინისტრაციული ერთეული, ლაზიკის საერისთავოს სახით, მაგრამ ამას არავითარი ეთნიკური ცვლილება არ მოჰყოლია. თუ ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სხვადასხვა წვრილ-წვრილი მეგრული ტერიტორიული ჯგუფები – ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, დრილები, თებალები და ა.შ. ამ დროიდან ისინი, ფაქტობრივად, ლაზებად და ჭანებად იწოდებოდნენ; უფრო სწორად, ამ ეპოქიდან, ლაზიკაში და ჭანეთში მცხოვრებ მცხოვრებ მეგრელებს დაერქვათ ლაზები და ჭანები. მართლაც, არასოდეს გამხდარა სადავოდ, რომ ლაზები და ჭანები ქართული ტომებია, ფაქტობრივად, იგივე მეგრელები არიან, მაგრამ ზოგიერთი ქართველი მეცნიერის გავლენით, მეგრელების ვინაობაზე დამკვიდრდა მოსაზრება, რომელიც აბნევს საზოგადოებას, არასწორ წარმოდგენას უქმნის მათ ვინაობაზე – **"მეგრელები და ლაზები ზანური ტომებია და მეგრული და ლაზური ენების დიალექტებია"**.

მე პირადად, ასეთი მოსაზრება კატეგორიულად მიუღებლად მიმაჩნია და, აი, რატომ: მეგრელები და ლაზები რომ ზანური ტომები ყოფილიყვნენ, მაშინ უნდა არსებულიყო ქვეყანა **"ზანათი"** და ეროვნება **"ზანი"**, მაშინ, როდესაც ზუსტად დადგენილი არ არის, ვინ მოიაზრებოდა ტერმინის **"ზანის"** ქვეშ. ვარაუდობენ, თითქოს, ბიზანტიელები **"ჭანებს"** მოიხსენიებდნენ ხან **"ზანებად"**, და ხან **"სანებად"**, რაც შეიძლებოდა ენის ბარიერით ყოფილიყო გამოწვეული, მაგრამ გამორიცხულია, ერთიანი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს მოსახლეობის საერთო სახელი **"ზანი"** ყოფილიყო, თუნდაც **"ზანის"** ქვეშ, **"ჭანი"** მოიაზრებოდეს. ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში არც **"ჭანეთი"** ჩანდა და არც **"ჭანი"**, ხოლო დასავლეთ საქართველოს უხსოვარი დროიდან **"ეგრისის"**, ხოლო მის მკვიდრ მოსახლეობას **"ეგრები"** ერქვა.

როდიდან ეწოდა დასავლეთ საქართველოს **"ეგრისი"**, სხვა საკითხია, მაგრამ სწორედ ეგრისის სამეფოს დაარქვეს ბერძნებმა **"კოლხეთი"** და მის მკვიდრ მოსახლეობას **"ეგრებს"** – **"კოლხები"** (ძველი წელთაღრიცხვის XV-XIV საუკუნეები).

დადგენილია, რომ **"ეგრიდან"** არის მიღებული დასავლეთ საქართველოს ძირითადი მოსახლის სახელი – **"მეგრელი"**.

მეცნიერთა ვარაუდით, ეს უნდა მომხდარიყო შორეულ წარსულში, სადღაც III-II ათასწლეულის მიჯნაზე.

აქედან მოყოლებული დასავლეთ საქართველოს ერთიანი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ძირითადი მოსახლეობის სახელი იყო **"მეგრელი"** და ამ სახელის ქვეშ მოიაზრებოდნენ ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში ამ სამეფოში დასახელებული წვრილ-წვრილი ტომებიც.

ამდენად, დღესავით ნათელია, რომ ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს მოსახლეობის საერთო სახელი მუდამ **"მეგრელი"** იყო და, I-II საუკუნეებიდან, **"მეგრელის"** ქვეშ ლაზიც მოიაზრებოდა, ლაზური ენა კი მეგრული ენის კილოკავი იყო.

უფრო მეტი, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ეგრისის სამეფო იწოდებოდა კოლხეთის. ლაზიკის და აფხაზთა სამეფოდ, მაგრამ ქართველი და სომეხი მემატიანეები მთელ დასავლეთ საქართველოს მუდამ ეგრისის სამეფოდ, ხოლო მის მოსახლეობას მეგრელებად მოიხსენიებდნენ. ბუნებრივია, მათ უცხოელ სწავლულებზე უკეთ ეცოდინებოდათ ეგრისის სამეფოც და მისი მკვიდრი მოსახლეობაც.

ყოველ შემთხვევაში, მეგრელებისა და ლაზების ზანურ ტომებად, ხოლო მეგრულ-ლაზური ენების ე.წ. ზანური ენის დიალექტებად მოხსენიებას არავითარი გამართლება არა აქვს. ეს ფაქტობრივად, ეგრისის სამეფოს და მეგრელების ძველი წელთაღრიცხვის ეპოქის თითქმის ორიათასწლოვან ისტორიაზე უარის თქმის ტოლფასია, რაც ჩვენი ღირსეული წინაპრების ხსოვნის შეურაცხყოფაც არის.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, ყურადღება გავამახვილო შემდეგ გარემოებაზე: მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს მოსახლეობის საერთო სახელი, უხსოვარი დროიდან, **"მეგრელი"** იყო, ადმინისტრაციული ერთეულის, სამთავროს სახელი **"სამეგრელო"** შედარებით ახალია, რაც შემდეგ მოვლენებთანაა დაკავშირებული – ახალი წელთაღრიცხვის, დაახლოებით, III-IV საუკუნეებში, ეგრისის სამეფოს **"ლაზიკის"**, უფრო სწორად, **"ეგრის-ლაზეთის"** სამეფო, VIII-X საუკუნეებში **"აფხაზთა"**, ანუ **"ეგრის-აფხაზეთის"** სამეფო ეწოდა... ბუნებრივია, ეგრისმა, როგორც სამეფომ, არსებობა შეწყვიტა.

საქართველოს ისევ დაშლის (XV საუკ.) მომდევნო ეპოქაში, ეგრისის სამეფოს ყოფილ ტერიტორიაზე, გარკვეული ცვლილებები მოხდა – ლაზიკა ტრაპიზონის იმპერიაში აღმოჩნდა, ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში იმერეთის სამეფო ჩამოყალიბდა, რომელიც პირველი ქართულენოვანი რეგიონი იყო დასავლეთ საქართველოში და, ამის შემდეგ, იმერეთში მცხოვრებ მეგრელებსაც ეწოდათ **"იმერლები"**.

ამავე საუკუნეში, იმ ტერიტორიაზე, სადაც სამეტყველო ენად ისევ მეგრული დარჩა და მოსახლეები მეგრელები იყვნენ, ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული ერთეული სამთავროს სახით და ეწოდა **"სამეგრელო"**.

ამდენად, დასავლეთ საქართველოს ძირითადი მოსახლის სახელი, უხსოვარი დროიდან, იყო **"მეგრელი"**, რადგან სამეფოს ერქვა **"ეგრისი"**, მაგრამ XV საუკუნეში პირიქით მოხდა – სამთავროს ეწოდა **"სამეგრელო"** მხოლოდ იმიტომ, რომ მის მოსახლეობას მეგრელები წარმოადგენდნენ.

მართალია, იმ ეპოქაში სამეგრელოს სამთავროში დარჩა გურიისა და აფხაზეთის საერისთავოები, მაგრამ სამთავროს ეგრისის სახელი არ დაერქვა, რადგანაც ის არც სამეფო იყო და არც ის ტერიტორია ჰქონდა, ეგრისის სამეფო რომ მოიცავდა.

არ იფიქროთ, რომ ჩემი მეგრელობით ვსარგებლობ და ამიტომ, ეგრისის სამეფოს ძირითად მოსახლეებად მეგრელებს მივიჩნევ და არა ლაზებს; ამას იმიტომ ვამტკიცებ, რომ რეალობაა, ჭეშმარიტებაა და მე ტენდენციური სულაც არ ვარ...

რაც შემეხება პირადად მე, ჩემთვის ლაზური სისხლი უცხო როდია – შონიების გვარი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და უძველესია საქართველოს სინამდვილეში. შონიები, ძირითადად, გლეხები არიან. მაგრამ ერთი შტოს წარმომადგენლები აზნაურებიც არიან. ამ შტოს წინაპარს, გიორგი შონიას, XVIII საუკუნეში, სამეგრელოს მთავარ დადიანისგან აზნაურობა ებოძა და მამულად მიეცა სოფლები – ფახულანი და ოხაჩქუა. დღეს ეს ორივე სოფელი წალენჯიხის რაიონშია, სვანეთის საზღვართან, მდინარე ენგურს გაღმა.

გიორგი შონია ვაჟკაცური კაცი ყოფილა, ძლიერი და წარმოსადეგი, შინაურები მოფერებით **"ღეჯიას"** ეძახდნენ. თურმე, მისი დაბადების დროს, სამეგრელოში რაღაც სენი მძვინვარებდა, რომელიც ღორს არ ემართებოდა და ამიტომ დაურქმევიათ **"ღეჯია"** (მეგრულად ღორი) ზედმეტ სახელად.

მას ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონია თურქეთში, მაშინ აჭარაც თურქეთში შედიოდა. სწორედ იმ დროს შეჰყვარებია აჭარაში, გონიოში მცხოვრები ლამაზი ქალიშვილი, გვარად მემიში და ცოლად შეურთავს. სათანადოდ, გიორგის შთამომავლებში ლაზური სისხლისაცაა. ეს რაც შეეხება ჩემს განსაკუთრებით თბილ განწყობას ლაზებისადმი, თორემ, მეცნიერულ წრეებში ერთმნიშვნელოვნადაა მიღებული, რომ შორეული წარსულიდან დღემდე, დასავლეთ საქართველოს ძირითადი მოსახლეები ეგრები (მეგრელები) იყვნენ, მიუხედავად იმისა, ნაწილი მეგრელებისა, ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში იწოდებოდნენ მარგველებად, ლაზებად (მათ შორის ჭანებიც) თუ აფხაზებად. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოს კოლხეთის, ლაზიკის თუ აფხაზეთის სამეფო ერქვა, მის ძირითად მოსახლეებს – მეგრელებს კოლხებად მოიხსენიებდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართულ წყაროებში, დასავლეთ საქართველოს ერთიან სამეფოს ყოველთვის მხოლოდ ეგრისის სამეფოდ მოიხსენიებდნენ და მის მოსახლეობას მეგრელებად, რაც არავითარ გაუგებრობას თუ უხერხულობას არ ქმნიდა, ვინაიდან ლაზებიც (მათ შორის ჭანებიც) და აფხაზებიც დარწმუნებული იყვნენ თავიანთ მეგრელობაში.

დარწმუნებული ვარ, თავმოყვარეობის შელახვად არ მიიღებთ, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის საერთო სახელად მეგრელი ითვლებოდა, რომლის ქვეშაც მოიაზრებოდა მარგველიც, ლაზიც და აფხაზიც, მით უმეტეს, რომ სამეგრელო არ მოწყვეტილა ქართულ სინამდვილეს და, ფაქტობრივად, მეგრელებმა მყარად შეინარჩუნეს პირვანდელი სახე, ენა, სარწმუნოება, კულტურა, ადათ-წესები, ტრადიციები. თუმცა, თქვენი არ ვიცი, მაგრამ, არც ერთი მეგრელი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს, მათ, ძველად, მეგრელებად მოიხსენიებდნენ თუ ლაზებად, რადგან მყარად აქვთ გაცნობიერებული, რომ ლაზები და მეგრელები ერთნი არიან, როგორც ზუგდიდელი, სენაკელი თუ ფოთელი მეგრელები.

ისე, ღმერთმა ქნას, ისევ ერთად ვიყოთ და თუ რაიმე უხერხულობას შექმნის ლაზების მეგრელებად მოხსენიება, გპირდებით, მე ვიქნები მოთავე, მეგრელებისა და ლაზების საერთო სახელად ლაზი იყოს.

ეს იქნება უდიდესი მოვლენა საქართველოს სინამდვილეში, რაც დღეს შეუძლებლად გვეჩვენება, მაგრამ ვინ იცის, ხვალ რა მოხდება? ისტორია სავსეა მოულოდნელობებით, შეიძლება, ქართველ ხალხსაც გაუმართლოს და ამას ეღირსოს.

ყოველ შემთხვევაში, როგორც რიგითი ქართველი, ბუნებრივია, დარწმუნებული ვარ, ლაზიკა (მათ შორის ჭანეთიც) ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულია და ლაზები (მათ შორის ჭანებიც) მეგრული ტერიტორიული ჯგუფებია და მათ არც ერთ სხვა ქართული კუთხის მკვიდრებზე ნაკლები პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ ჭეშმარიტ ქართველობაზე.

სამწუხაროდ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სათანადოდ არ არის შესწავლილი ლაზიკის ისტორია, მისი რაობა და როლი საქართველოს ისტორიაში, ლაზების დამსახურება ერის წინაშე, რასაც გამართლება არ აქვს. სწორედ ამან განაპირობა, ალბათ, ის გარემოება, რომ ლაზებს, გარკვეულად, ეჭვი ეპარებათ თავიანთ ქართველობაში.

მართალია, შედარებით უკეთესი სიტუაციაა აფხაზეთის და აფხაზების ისტორიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ქართველებმა და არც აფხაზებმა ზუსტად არ იციან აფხაზეთის ობიექტური ისტორია, რამაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა აფხაზეთის საშინელ მოვლენებში.

10 ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲠᲗᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲐᲝᲑᲐ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲐ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲗᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ – ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲒᲕᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲡ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ.

ამას ქართველი მეცნიერების მიერ დაშვებულ ეროვნული მნიშვნელობის შეცდომად ვთვლი.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალობით ინჟინერი ვარ, თითქმის 30 წელი ვხელმძღვანელობდი სხვადასხვა ობიექტებს და ვიყავი გაერთიანება **"ბორჯომის"** გენერალური დირექტორიც (1986-1991 წლები), იძულებული გავხდი, საზოგადოებისათვის გამეცნო ჩემი მოსაზრება აფხაზურ საკითხზე.

1988 წელს მზად მქონდა ნარკვევი **"ერის დიდი სატკივარი"**, რომელიც, გარკვეული სიტუაციებიდან გამომდინარე, მხოლოდ 1995 წელს გამოქვეყნდა, ჟურნალ **"პოლიტიკაში"**...

...გამოქვეყნდა წიგნი **"დიდი საქართველოს ტრაგედია"** (1988 წელი, თბილისი), რომელშიც შევეცადე, საზოგადოებისათვის გამეცნო აფხაზეთის როლი საქართველოს ისტორიაში, უძველესი აფხაზების ვინაობა და მათი დამსახურება ქართველი და აფხაზი ერების წინაშე. შეძლებისდაგვარად, ისიც გავაანალიზე, თუ რამ განაპირობა აფხაზეთის სამწუხარო მოვლენები.

**ანზორ შონია,**
**აკადემიკოსი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფელ ლატალის ზეპირსიტყვიერება

## სვანური მოტივები

### მითი და სინამდვილე

სიტყვა **"ლატალი"**, სვანურ ენაზე, სადარაჯოს ნიშნავს, რადგან სოფელი ლატალი ბალს ზემოთ უბატონო სვანეთის და ბალს ქვემო-სადადეშქელიანო სვანეთის გამყოფი, უბატონო სვანეთისათვის აქტიურად მებრძოლი სოფელია. დადეშქელიანები დიდი ხანი იბრძოდნენ ბაალის (მთა სოფლების ლატალსა და ბეჩოს შუა) დასაპყრობად. მაგრამ ლატალელებმა თავდადებული ბრძოლით მშობლიური სოფელი დაინარჩუნეს.

სოფელი ცხუმარი ჭალაის ღელეს დაპყრობას ლამობდა. დარჩა სიმღერა: **"ლატლარი ცხმრალ უშხვაარ ხაშგაბალახ" – "ლატალელები და ცხუმარელები ერთმანეთს უვარდებოდნენ".** ლატალელებმა სამი ცხუმარელი მოკლეს. ცხუმარში მათთვის სამი საკაცე გაუკეთებიათ და საცალფეხო გზით **"კაარალლაექვა"** (ქვიანი ადგილია ლატალში) გადაუსვენებიათ მეომრები სოფელში.

ჭალაის დაპყრობას თურმე დადეშქელიანებიც ლამობდნენ. თავდაპირველად მათ მშვიდობიანი გზა უცდიათ და ლატალში **მორევ მარე** – შუაკაცი გაუგზავნიათ. ლატალის **"სვიმრასგან"** (საზოგადოება, რომელიც სოფლის საჭირბოროტო საკითხებს წყვეტდა) უარი მიუღიათ. მაშინ დადეშქელიანები საომრად გამზადებულან, მათ შესახვედრად ლატალში ქუდზე კაცი ამდგარა, ვისაც კი თოფის ხელში აღება შეეძლო, ყველა გამოსულა. **"მჰეერი"** ულამაზესი ადგილია ლატალში. აქ დგას **"ილმჰეერის"** ეკლესია. მისკენ საოცარი ნაბიჯით მიმავალი თეთრი ხარი დაუნახავთ. ხარმა ეკლესიასთან სამჯერ დაიბღავლა თურმე. ეს რომ ლატალის **"სვიმრას"** წარმომადგენელს, მეშხე-ბექმურზას – შავ ბექმურზას დაუნახავს, უთქვამს: ეს ხარი ჩვეულებრივი არაა. ღვთის მიერაა მოგზავნილი და გამარჯვებას გვიქადისო. თუ ამ ბრძოლაში გავიმარჯვებთ, ამ ხარს დავკლავ და ღმერთს შევწირავთო.

ლატალელებმა ბრძოლაში გაიმარჯვეს. დადეშქელიანებმა როცა დაინახეს, რომ ლატალელთა ჯარი სჭარბობდა სიმრავლით, უბრძოლველად დანებებულან. თათარყან დადეშქელიანს უკითხავს ბექმურზასთვის: **"შეტაკება რომ მომხდარიყო, თოფს მეც დამიმიზნებდიო?"** ბექმურზას უპასუხნია: სანადიროდ წასულმა მონადირემ ნადირობისას ერთად მდგარი არჩვი და ჯიხვი რომ დაინახოს, რომელს დაუმიზნებსო?

– რა თქმა უნდა, ჯიხვსო, – არ დაუყოვნებია პასუხი თათარყანს. მაშინ ბექმურზას უთქვამს: – შენც ჯიხვი ხარო.

დადეშქელიანები უკან გამობრუნებულან, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მიდგომიან ჭალაის მიდამოებს. მათ დასახმარებლად შეერთებიან ცხუმარელებიც. იმ ადგილს, სადაც მათი მეომრები დაბანაკებულან, შემდეგ **"ჯოოდალ"** დაერქვა (დადეშქელიანთა ჯარი გაიზარდაო – ჯარ ქაალჯოდინელი), ლატალელებმა მათთვის შეუმჩნევლად შემოუარეს მოწინააღმდეგის ჯარს და იმ ადგილს **"ნამცაადრა"** დაერქვა. გამარჯვებულთ სოფელში თეთრი ხარი დაუკლავთ და ღმერთისთვის შეუწირავთ. გამართულა დიდი დღესასწაული ლატალობა. ამგვარი დღესასწაული დღესაც იმართება. მთელი სოფელი იკრიბება, კლავენ ხარს და ცეკვა-თამაშს მართავენ. დიდი და პატარა – ყველა ებმის სასიმღერო ფერხულში და ასე სიმღერა-ფერხულით სამჯერ უვლიან გარს ეკლესიას.

აღდგომის მესამე დღეს ტარდება დღესასწაული **"მაცხვაარლატლიშ"**. ძველი გადმოცემით აღდგომის (თანაფ) – მესამე დღეს, სამშაბათს, წმინდა მაცხოვრის ეკლესიასთან დაბმული ყოფილა ხარი, რომელიც სოფელ იელის მცხოვრებთ ლატალელთათვის ძღვნად მიუყვანიათ. **"ჩვენ მულახელები გვავიწროებენ და გთხოვთ დახმარება გაგვიწიოთო"** – ასე მოუმართავთ იელელებს. ლატალის თავკაცები შეკრებილან და მულახში წასულან. შეუკრებიათ მულახის თავკაცები და მოუხსენებიათ: იელელებმა ხარი ძღვნად მოგვიყვანეს და დახმარება გვთხოვეს. თქვენ თუ არ შეეშვებით მათ შევიწროებას, ჩვენ ვალდებული ვართ დავეხმაროთო. თემთა საბჭოს ეს საკითხი მშვიდობიანად გადაუწყვიტავს. იმ დღიდან მულახელები შეეშვნენ იელელების შევიწროვებას. მას შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იელიდან ყოველწლიურად აღდგომის მესამე დღეს, სამშაბათს მოჰყავდათ ხარი ლატალში, მთელი სოფელი იკრიბებოდა და იმართებოდა რელიგიური დღესასწაული **"მაცხვაარლატლიშ"**. საბჭოთა ხელისუფლებამ აკრძალა იელიდან ხარის მოყვანა, მაგრამ ლატალი ღრმად მორწმუნე სოფელია. აქაურებმა გადაწყვიტეს ყოველწლიურად შეეკრიბათ ფული, ეყიდათ ხარი, შეეწირათ იგი ეკლესიისათვის და შეესრულებინათ რიტუალები. მიუხედავად ბოლშევიკების მიერ დაწესებული დიდი შეზღუდვისა, ეს რიტუალი დღემდე მოვიდა და დღესაც იმართება ლატალში.

### თათრების შემოსევა

ლატფარიდან თანღილში თათრების ჯარი შემოსულა ხატების მოსაპარავად (დაახლოებით IV საუკუნეს ვარაუდობენ). ახლო მცხოვრებლებს ლატალის სვიმრასთვის შეუტყობინებიათ. შეკრებილა სოფელი და საომრად წასულა თანღილში. ლატალელებს გაუწყვეტიათ თათრის ჯარი, დიდი საფლავი ამოუთხრიათ და შიგ მტრის გვამები ერთად ჩაუყრიათ. შემდეგ ლატალელი მეომრები ახლო სოფელში ჩამოსულან, გამარჯვების ნიშნად თეთრი ხარი დაუკლავთ. ქეიფის დროს მეომრები ერთმანეთს სასმელს სთავაზობდნენ სიტყვებით: ლახშ, ლახშ (დალიე, დალიე). აქედან წარმოსდგა ამ სოფლის სახელწოდება ლახუშდი.

თანღილში, სადაც თათრების შემოსევა მომხდარა, დგას მთავარანგელოზის ეკლესია – **"თანღითაარნგზელ"**. ამ ეკლესიასთან ომის დროს დარჩენილი ისრები დღესაც ინახება.

### ლეგენდა შარგიაანზე

შარგიანების საგვარეულო ძლიერი ყოფილა. სოფელ ლატალში დგას მაცხოვრის ეკლესია, სადაც მთელი სოფელი, გარდა შარგიანებისა, მოდიოდა და ლოცულობდა. შარგიანებს ცალკე ჰქონიათ მაცხოვრის ეკლესია და იქ ლოცულობდნენ თურმე.

შარგიანებს გამორჩეული ვაჟკაცი ჰყოლიათ – სახელად შარგიაან. დიდი და ძლიერი ოჯახი ჰყოლია შარგიაანს. ერთხელ იგი სანადიროდ წასულა. გზაზე დევი (დაავ) – ტყის კაცი შეხვედრია. შარგიაანი შებმია დევს, დაუმარცხებია და მისთვის ფრჩხილები წაუჭრია, ფრჩხილის მოჭრით დევს ძალა დაუკარგავს და შარგიაანს შინამოსამსახურედ წაუყვანია სახლში. დევის ფრჩხილები სახლში მიუტანია და შუაცეცხლთან ახლოს მიწაში ჩაუმარხავს.

ერთ დღეს მთელი ოჯახი სამუშაოდ წასულა. შინ მხოლოდ პატარა ბავშვი და დევი დაუტოვებიათ. თურმე დევი შეეკითხა ბავშვებს – ჩემი ფრჩხილები სად შეინახა მამათქვენმაო. ბიჭი ვერ გამოუტეხავს, გოგოს კი უთქვამს: შუაცეცხლთან მიწაში მარხიაო. დევს ამოუთხრია ფრჩხილები და ძალაც დაბრუნებია. შუაცეცხლზე ქვაბით ხორცი მდგარა მოსახარშად. დევს ბავშვები ქვაბში ჩაუყრია, თვითონ კი ტყეში გაქცეულა. ტყიდან ხმა მოუწვდენია შარგიაანისათვის და უთქვამს: შედი სახლში, ხორცი მოიხარშებოდაო. შარგიაანი მიმხვდარა თუ რა განსაცდელიც დაატყდა თავს და აყმუვლებულა სიმწრით. დევს დაუწყევლია შარგიაანების საგვარეულო შემდეგი სიტყვებით: **"გვარში ერთი მემკვიდრის მეტი არ გაგჩენოდეთო"**. ამის გამოა თუ არა, არავინ იცის, მაგრამ დღესაც შარგიაანებიდან მხოლოდ ერთი მამაკაცია დარჩენილი, ქალები კი სადაც გათხოვდნენ, დიდი ოჯახები შექმნეს და გვარიც ამრავლეს.

### მითი კახაანზე

გმირი კახაანი ჩამგელიანების საგვარეულოს წარმომადგენელი ყოფილა. იგი ფიზიკური სიძლიერითა და გოლიათური აღნაგობით ყოფილა გამორჩეული.

**ანდერიანი, წილიიდ, ლახვშდაალდ და მუბი** საძოვრებია ლატალში. მათ გველეშაპი დაუფლების, მისი შიშით საქონელი ვერავის მიჰყავდა თურმე საძოვარზე. მთელი დღეები მუჰერში წოლილა გველეშაპი. შეწუხებულა ლატალი, შეკრებილა მთელი სოფელი და უთხოვიათ კახაანისთვის დახმარება. კახაანს უთქვამს: გველეშაპს მოვკლავ, თუ ლეთნიერში შავი ძროხის რძეს მოდუღებულს დამახვედრებთო, მთის ბარჯს სანადიროდ მომცემთ და ლახვშდალიდს საძოვრებადო, ჰარაშიც მჟავე წყალსაც პირველი მე დავლევო. ხალხს მისთვის დანაპირების შესრულება აღუთქვამს.

კახაანს თან წაუყვანია ერთი ცხენი და ერთიც ჯორი. ეს ჯორი ლენწელას ძირში დაუტოვებია. თავად ცხენით ჰარაშში შესულა. გველეშაპს იმ დროს სძინებია. კახაანს სამსაფეხურიანი კიბე დასჭირდა თურმე გველეშაპის ყურამდე ასასვლელად. სამი ისარი დაურტყამს ყურში და განუგმირავს. კახაანი ცხენზე შემჯდარა და უკან გამოქცეულა. ლენწელას ძირში აღმართზე ჯორზე შემჯდარა, ლეთნიერში რძე დაუხვედრებიათ მისთვის. გველეშაპი სულს ღაფავდა და შხამს ანთხევდა თურმე. მისგან შხამნათხევი კახაანი რძეში განიბანა. სასიკვდილოდ განწირული გველეშაპი სიმწრით იკლაკნებოდა თურმე და რასაც მისი კუდი მოხვედრია, ყველაფერი გადაუთელავს. იმ ადგილას, სადაც კახაანმა გველი მოკლა, ბორცვია დარჩენილი. ამბობენ, რომ იგი გველეშაპის სამარხია და მისი ფორმაც იმიტომ აქვსო.

იმაზე, თუ რამდენად შეიძლება ეს მითი სინამდვილეს შეესაბამებოდეს, ისტორიული კვლევა-ძიება მიმდინარეობს. ამ მითს უკავშირებენ მითს არგონავტებზე.

ლატალელები დღესასწაულის დროს წმინდა გიორგის სადღეგრძელოს შემდეგ ორი ჭიქით ფეხზე ადგომით სვამენ კახაანის სადღეგრძელოს, შემდეგი სიტყვებით: **"ღმერთს დიდება, კახაანს შენდობა, მის მომხსენებელ ყველა სვან კაცს მშვიდობა"**. ხალხმა დღემდე შემოინახა სიმღერა კახაანზე.

**ირმა გვიჩიანი**

## თეკალის "მიჟე ნარჰი"

**(იბეჭდება შემოკლებით)**

თეკალი ქვემო სვანეთის ერთი პატარა, ლამაზი სოფელია – გარდაფხაძეებით, ონიანებით, ბაბლუანებით და ჭველიერიდან გადმოსული მუკბანიანებით არის დასახლებული.

სალი კლდის თავზე მაცხოვრის ეკლესია დგას, ხეელუს მთიდან თეკლურას ღელე მოედინება, ღემაამოლის და ჭენიერის მთათა ფერდებს აპრილიდან დაწყებული გვიან შემოდგომამდე ნაირნაირი ყვავილების ფარჩა მოსავს.

მაგრამ თეკალს პირველ რიგში მაინც მისი მკვიდრნი ალამაზებენ – მათი ლამაზი საქმეები, მრავალი ლამაზი ჩანაფიქრი და ამ ჩანაფიქრთა ხორცშესხმა.

აქ დამკვიდრებულ თითოეულ გვარს გვარში ღირსებით გამორჩეული კაცი ჰყავს საამაყოდ. მუკბანიანებს – უნიჭიერესი ხელოვანი იოსებ მუკბანიანი, ბაბლუანებს – ბაბლუანებში პირველი კაცი, ონიანებს – ყველაზე ღირსეული ონიანი, ხოლო გარდაფხაძეებს, ალბათ ის პირველი თავადი გარდაფხაძე, ვინც ეს სოფელი დაიკავა.

**"მიჟე ნარჰი"** – თეკალის სილამაზეა, ოღონდ ის არც რომელიმე მთის სახელია, არც მდინარისა. ის მზის საგალობელია, სიმღერაა, რომელიც იოსებ მუკბანიანმა შექმნა, თეკალელებმა კი უხუცესთა ანსამბლს შეარქვეს ეს სახელი.

ანსამბლმა უამრავი, ლამის უიმედოდ დაკარგული სვანური სიმღერა აღადგინა და მსმენელს დაუბრუნა. ანსამბლის ხელმძღვანელმა, იოსებ მუკბანიანის ძმისშვილმა ბატონმა ჯუმბერმა და ანსამბლის წევრებმა 16-17 ძველი სვანური სიმღერა აღადგინეს და დაამუშავეს, მათ შორის საფერხულო ცეკვებიც.

**მიჟე ნარჰი** სვანურ ენაზე მზის სინათლეს ნიშნავს

შვენის და შველის ეს სინათლე პატარა თეკალს – მთელი ჩოლურის თვალს. დიდგულა და დიდბუნებოვან ადამიანთა სამკვიდრებელს.

ხოლო, როცა უხუცესთა გუნდის წევრები ბაილ-ბეთქილს უმღერიან, ან როცა ჭუნირზე ვიცბილს და მაცბილს დასტირიან, ანდა როცა შგარიდაში ფერხულს უვლიან, ყოფითი წვრილმანები უკვალოდ ქრება მეხსიერებიდან, წარმავალის ადგილს წარუვალი იკავებს და მაშინ მთელი გუნდიც უკვდავებასთან ხმაშეწყობილი მღერის თითქოს.

**ელა გურჩიანი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლავრენტი ბერია — ქართული გენია



*სერგეი კრემლიოვი*

## ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

სტალინისათვის უბრალო არ გახლდათ რეპრესიების გატარებაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. რომ არ მიეღო, ესეც არ შეიძლებოდა – ისტორია არ აპატიებდა.

ლავრენტი ბერია მაღალი ტალანტის მქონე ადამიანი იყო. მაგრამ, სტალინისაგან განსხვავებით, იგი არ იყო სოციალური ანალიზის გენიოსი, მაგრამ მას ბელადისა არ შურდა. ისინი, ამასთან, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები იყვნენ. ასაკში ოცი წელი იყო განსხვავება, მსოფლმხედველობაში კი – მთელი ეპოქა!

მაგრამ ფსიქოლოგიურად ბერია ძალიან ახლოს იდგა სტალინთან – ორივენი პრაქტიკული რომანტიკოსები და იდეალისტები იყვნენ და დღემუდამ იღვწოდნენ ახალი საზოგადოების შესაქმნელად.

სტალინმა თქვა: **„კადრები წყვეტენ ყველაფერს!"** და იმ პარტიულ-სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, რომლებიც რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარტეხილებმა ხელისუფლების სათავეში აიყვანა, ბერია იყო ის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, რომელსაც არაფრად მიაჩნდა ვაშლებშემოწყობილი შემწვარი ბატი და სხვა ფუფუნება. მაგრამ იგი ხარბი იყო სამუშაოსადმი, და იყო ერთ-ერთი იმ კადრებს შორის, რომლებიც **„ყველაფერს წყვეტდნენ"...**

გადაწყვიტო და იშრომო! იმიტომ რომ, შრომა საინტერესო პროცესია და იმიტომ, რომ შენი შრომით ერთი აგური შემატო სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეს. ბერიასათვის ეს იყო არა მხოლოდ ლამაზი ფრაზა, არამედ მისი ყოველდღიური მორალური მრწამსი.

ამიტომ არ შეეძლო სტალინს, რომ უახლოეს პერიოდში არ ჩაერთო ბერია თავის უახლოეს გარემოცვაში. მალე მას სამუშაოდ მიიწვევენ მოსკოვში – სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

ბერიას დანიშვნა მაღალ თანამდებობაზე ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული – ეს ეპოქის მოთხოვნა გახლდათ.

### საქმეები სამშობლოში, საქმეები თბილისში...

პლენუმიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ ბერია კვლავ საქმეებში ჩაიძირა და იმ საკითხების მოგვარებას შეუდგა, რომლებიც ძველი პრობლემების გადაჭრის შემდეგ კვლავ იჩენდნენ ხოლმე თავს.

1937 წლის აგვისტოდან დაიწყო ჩეკისტური **„ოპერაცია"**, რომელიც, ბუნებრივია, საქართველოსაც შეეხო. იმდენად, რამდენადაც ტროცკისტებისა და მტრულად განწყობილი ელემენტების წინააღმდეგ გამართული რეპრესიების ფართო აქცია ახალ და უამრავ საგამოძიებო მასალებს იძლეოდა, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბუნებრივია, ამ საკითხთან შეხებაც უწევდა. ბერია დიდი ხნის განმავლობაში იყო ჩეკისტი და გამორიცხული იყო, რომ მას ეს გამოცდილება არ გამოეყენებინა იმ ნახევარი წლის განმავლობაში, ვიდრე მიმდინარეობდა **"ჩასვრილი"** პარტიულ-სახელმწიფო **"ოფიცრობისა"** და **"გენერალიტეტის"** საფუძვლიანი წმენდა.

1937 წლის 8 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გოგლიძე აუწყებდა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს ბერიას, რომ **"კულაკებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეების"** კატეგორიას მიკუთვნებულთა შორის 1.419 ადამიანს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა, რომელთა შორის 338 კაცის საქმე გამოიძია მუშურ-გლეხურმა მილიციამ, 1.081 კაცის საქმე კი უშიშროების სამმართველომ. შესაბამისად, მილიციამ გადაასახლა 463 ადამიანი, უშიშროებამ კი 1.099 ადამიანი.

ეს კონკრეტული ციფრები მეტყველებენ, რომ საქართველოს შინსახკომი დამნაშავეთა სიებს ადგენდა კონკრეტული ხალხისაგან, მათი კონკრეტული დანაშაულის გათვალისწინებით. ამასთან, სამასი ბანდიტის სასამართლოს გვერდის ავლით სიკვდილით დასჯამ მკვეთრად გამოასწორა ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაცია. ასევე გამართლებული იყო რეპრესიები კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგაც. მე არ შევუდგები ამ ციფრების გამოწვლილვით ანალიზს, მაგრამ აღვნიშნავ, რომ, თუ საბჭოთა კავშირში წმენდა შეეხო კომუნისტთა 46 პროცენტს, საქართველოში ეს ციფრი არ ასცილებია 32 პროცენტს (დაახლოებით 18 ათასი კაცი). ამასთან, ბერია არაერთხელ გამოსულა პრესით იმის მოწოდებით, რომ წმენდისადმი მეტი სიფაქიზე და ობიექტურობა გამოეჩინათ შესაბამის ორგანოებს.

პარტიული დოკუმენტების გადამოწმების პროცესში აპელაცია შეიტანა 2.394 კაცმა, რომელთა შორის 638 აღდგენილი იქნა პარტიაში, 424 კაცი პარტიის წევრობიდან გადაყვანილი იქნა წევრობის კანდიდატად, 315 კაცი კი აღდგენილი იქნა კანდიდატად.

ეს ციფრები კარგად მეტყველებენ იმაზე, იყო თუ არა ლავრენტი ბერია **"სადისტი"**. ამ ციფრების ფონზე, მე მოგვიანებით გავარჩევ ბერიას წინააღმდეგ წამოყენებულ სერიოზულ ბრალდებას იმის თაობაზე, რომ მან თითქოს, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად ყოფნის ჟამს, 1936 წელს, პირადად მოკლა საკუთარ კაბინეტში სომხეთის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ხანჯიანი.

ფორმალურად ხანჯიანთან ინციდენტი (იგი ტუბერკულოზის მძიმე ფორმით იყო ავად, რაც მისი, როგორც გაუწონასწორებელი ადამიანის თვითმკვლელობით დასრულდა) წარმოიქმნა **"მაღალ ეშელონებში წმენდის"** დაწყებამდე ერთი წლით ადრე. მაგრამ **"მხილების"** ტექნოლოგია, რომელიც განსაკუთრებული სახით ჩამოყალიბდა პარტიის XX ყრილობაზე, სულ სხვაგვარად წარმოაჩენდა ამგვარ ფაქტებს, რაზედაც მე მოგვიანებით გავამახვილებ ყურადღებას.

ვუბრუნდებით რა 1937 წლის დასასრულს, აღვნიშნავ, რომ **"წმენდას"** არავითარი დეზორგანიზაცია არ შეუტანია ქვეყნის ეკონომიკაში და როგორც საქართველოში, ასევე მთელ საბჭოთა კავშირში საპირისპირო რამ მოხდა. აქვე მინდა მოვიხმო კაგანოვიჩთან დაკავშირებული ერთი ფაქტი.

კონსტანტინე ზალესსკი თავის ბიოგრაფიულ ლექსიკონში აღნიშნავს, რომ სსრკ რკინიგზის სახალხო კომისარმა კაგანოვიჩმა კომისარიატში ხელმძღვანელი კადრების განადგურება ჯერ კიდევ **"წმენდის"** კომპანიის გაშლამდე დაიწყო. მან 3.000 ხელმძღვანელი მუშაკი დააპატიმრა და თითქმის სრულად გაანადგურა კომისარიატის საშუალო და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა. ძნელი დასადგენია, თუ რას გულისხმობს ზალესსკი მცნებაში **"რკინიგზის სახალხო კომისარიატი"** – საუბარია რკინიგზის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ აპარატზე თუ მთელ საკავშირო სისტემაზე. თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდში მესაბოტაჟეთა სიმრავლეს, დაპატიმრებულთა რიცხვი მთელ სისტემაში არ უნდა იყოს ძალზე დიდი. ხოლო, თუ საუბარია ცენტრალურ აპარატზე, მაშინ ეს იქნებოდა არა სისტემის მუშა აპარატი, არამედ უსაქმურთა ხროვა.

ასეა თუ ისე, კაგანოვიჩამდე რკინიგზის სისტემაში წესრიგი არ იყო. იგი სახალხო კომისრად დაინიშნა 1935 წლის 26 იანვარს და ზუსტად ერთ წელიწადში ირკუტსკიდან სტალინს შემდეგი შეტყობინება გამოუგზავნა:

**"გავეცანი კრასნოიარსკის სარკინიგზო კვანძისა და ორთქმავალშემკეთებელი ქარხნის მუშაობას. სადგურ ჩერნორეჩენსკაიას მისადგომებთან და თვით სადგურში გაჩერებულია ათობით მატარებელი, რაც აფერხებს ეშელონების მოძრაობას აღმოსავლეთისაკენ. გარდა ექსპლოატაციის პერსონალის უთავბოლობისა, ეს სავალალო მდგომარეობა განპირობებულია კრასნოიარსკის საორთქმავლო დეპოს ცუდი მუშაობითაც. ნახევარზე მეტი სატვირთო ორთქმავლებისა მწყობრიდანაა გამოსული უხარისხო რემონტის გამო, რაც უფრო დანაშაულია, ვიდრე უპასუხისმგებლობა. დეპო და ქარხანა გადაჭედილია საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტებით ვაი-კომუნისტების წყალობით მათ სისტემად აქციეს ორთქლის ქვაბების, ინჟექტორებისა და ტუმბოების მწყობრიდან გამოყვანა. ქარხანაში გამოვლენილია ტროცკისტთა ჯგუფი, რომლებიც შეგნებულად უხარისხოდ არემონტებენ დანადგარებს, დასცინიან და ავიწროებენ სტახანოველებს, მუშაობენ ცუდად, პარტორგანიზაცია იგნორირებულია, მუშებს ცუდი განწყობა აქვთ. მივიღე ოპერატიული ზომები...ირკუტსკში მდგარი რკინიგზის სახკომის რეზერვიდან გადმოვისროლე 15 ორთქმავალი..."** და ა.შ.

კაგანოვიჩმა ადგილზევე მონახა დეპოსა და ქარხნის უხეირო პარტორგების შემცვლელები, კრასნოარსკის საორთქმავლო ქვეგანყოფილების უფროსად დანიშნა ინჟინერი სოკოლოვი... ამით მან მთელ სისტემაში მოიხვეჭა დიდი ავტორიტეტი.

მანამდე კი... მაგალითად, კორნეი ჩუკოვსკი, 1933 წელს, ბათუმში სამსაათნახევრის განმავლობაში აბარებდა შემსახველ საკანში ბარგს. სამწუხაროა, რომ ამ რიგში არ იდგა თავად კონსტანტინე ზალესსკი, და არ იყო არმავირის სადგურზეც, სადაც 1932 წელს ჩუკოვსკი სამი დღე ელოდა მატარებელს, რომელიც განრიგით ყოველდღე უნდა ჩამომდგარიყო სადგურში.

ზალესსკი ამტკიცებს, რომ თანამედროვე კრიტიკოსები კაგანოვიჩს მოიხსენიებენ როგორც უაღრესად უხეშ და პატივმოყვარე პიროვნებას. მაგრამ მე წავიკითხე მისი საქმიანი წერილები, მისი მემუარები (ამას მაინც ხომ არ უწერდნენ რეფერენტები) და მაოცებდა, თუ ეს თვითგანათლებული ადამიანი როგორ მაღალოსტატურად ფლობდა სიტყვას და ლოგიკის კულტურას. და კარგად ერკვეოდა იმ დარგში არსებულ პრობლემებში, რომელსაც ხელმძღვანელობდა.

საკუთარ თავზე სერიოზული მუშაობისა და ნიჭის გარეშე აქ არაფერი გამოვიდოდა. ხოლო, რაც შეეხება კაგანოვიჩის უხეშ ხასიათს, ვიხსენებ მამაჩემის ერთ-ერთი მეგობრის, ძველი რკინიგზელის მონათხრობს იმის თაობაზე, რომ როცა კაგანოვიჩი სადგურის უფროსის პატაკს გაეცნო და ბოლოში იხილა მისი შემდგენის გვარი გაპონი, დაინტერესდა თუ **"ის გაპონი"** მისი მოგვარე იყო თუ ნათესავი. როცა გაიგო, რომ სადგურის უფროსი პროვოკატორ მღვდელ გაპონის ღვიძლი ძმა იყო, ჰკითხა:

– თქვენ აქ ხომ არ გავიწროვებენ? – და დაუმატა: – თუ როდისმე შეგავიწროვებენ, უშუალოდ მე მომმართეთ!

ასე რომ, ყველასთან ნამდვილად არ იყო უხეში ლაზარ კაგანოვიჩი.

რკინიგზის უწყებაში მის მისვლამდე, 1932 წელს ტვირთბრუნვამ შეადგინა 169,3 მილიარდი ტონა-კილომეტრიც, 1937 წელს – 354,8 მილიარდი ტონა-კილომეტრი, 1940 წელს კი 414 მილიარდი. ეს ნამდვილად არ მოხდებოდა, კაგანოვიჩს მთლიანად რომ გაეჟლიტა რკინიგზის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელთა შემადგენლობა.

1938-1940 წლებში აშენდა 4,6 ათასი კილომეტრიც სიგრძის რკინიგზის ხაზი (მეორე ხუთწლედში 3,4 ათასი). რკინიგზის ძირითადი ფონდი სამი წლის განმავლობაში 74 პროცენტით გაიზარდა, მნიშვნელოვნად განახლდა სალოკომოტივო დეპო. გამოვიდა ახალი სატვირთო ორთქმავლები **ფდ** (ფელიქს ძერჟინსკი), **სო** (სერგო ორჯონიკიძე), **ე** და სამგზავრო ორთქმავალი **ის** (იოსებ სტალინი). ვაგონების დეპო გაიზარდა 30 პროცენტით. და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც კაგანოვიჩმა **"გაანადგურა რკინიგზის სახალხო კომისარიატის სისტემის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი"**.

გრიბოედოვის ერთ-ერთი ნაწარმოების გმირი პოლკოვნიკი სკალოზუბი მოსკოვის თაობაზე ამბობდა: **"მას ხანძარი მეტად მოუხდა..."** სამწუხაროდ, წარსულის მწარე ირონია იმით განმეორდა, რომ რეპრესიებმა მნიშვნელოვნად აამაღლა შრომის ნაყოფიერება და ეკონომიკური ეფექტიანობა. და ეს ამაღლება მოხდა არა შიშის სინდრომის დანერგვით, არამედ პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებით, უპირველესად კი, ეკონომიკიდან მესაბოტაჟეებისა და პროვოკატორების გამოძევებით.

დიახ, რეპრესიები საბჭოთა კავშირში უამრავ წესიერ საბჭოთა ადამიანსაც შეეხო, რომელთაგან ბევრი დაიღუპა. ჩემს მიერ ნახსენები გენერალი ცვეტაევი (მაშინ – დივიზიის მეთაური), რომელიც გამოძიებამ გაამართლა, წითელი არმიის რიგებში აღდგენის შემდეგ საკუთარ ავტობიოგრაფიაში წერდა:

***"...ჩემი დაპატიმრების მიზეზად მივიჩნევ კონტრრევოლუციონერების მტრულ მოქმედებას, რომელთა მიზანს საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა შეიარაღებული ძალების შესუსტება წარმოადგენდა".***

თავის თავზე გამოსცადა რა დიდი უსამართლობა, ცვეტაევს კარგად ესმოდა დროის მოთხოვნისა, მაგრამ ავტორი ჩერუშევი, რომელმაც ეს სიტყვები თავის წიგნში **"გულაგიდან ომში"** გამოიყენა, პირზე ქაფმორეული ამტკიცებს, რომ ჯერ ეჟოვი, შემდეგ კი მისი შემცვლელი ბერია მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რომ, **"რაც შეიძლება მეტი უდანაშაულო ხალხის სისხლი შეეხვრიპათ..."**

თვით ჩერუშევის წიგნის სახელწოდება გახლავთ ცილისმწამებლური, იმიტომ, რომ მასში მოთხრობილია იმ სამხედრო მეთაურებზე, რომლებიც ბერიას შს სახალხო კომისრად დანიშვნის შემდეგ განთავისუფლდნენ არა შრომა-გასწორების კოლონიებიდან, არამედ გამოძიების შემდეგ. და რაც მთავარია, ისინი მოხვდნენ არა ომში, არამედ დაუბრუნდნენ წითელი არმიის რიგებს.

მაგრამ სამხედრო ხელმძღვანელობაში ხომ ნამდვილად არსებობდა შეთქმულება, რომლის გახსნა და რომლის წვრილმანებში გარკვევა სრულიადაც არ გახლდათ მარტივი საქმე. მე შემდეგ მოგითხრობთ, თუ როგორ ართმევდა თავს ამ რთულ ამოცანას სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად ახალი დანიშნული ლავრენტი ბერია.

1937 წლის 12 დეკემბერს ჩატარდა სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. დეპუტატად ლავრენტი ბერიაც აირჩიეს.

ის, რომ ალტერნატიული არჩევნების იდეა ჩავარდა, მშრომელთა ფართო მასებისათვის არ გახდა ცნობილი. მაგრამ ამ თემამ მაინც გაიჟღერა სტალინის წინასაარჩევნო მოხსენებაში მის საარჩევნო უბანზე მოსკოვში, 1937 წლის 11 დეკემბერს, რომელიც მეორე დღეს გაზეთ **"პრავდაში"** გამოქვეყნდა.

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "საქართველოს ამაღლება და დროებითი აპოკალიფსი"

*მიზანშეწონილად მიგვაჩნია მცირედით მაინც შევეხოთ იმ ვაი-პოლიტიკას, რომელმაც უხვად ასხა წყალი "მტრის წისქვილზე". დიახ! დავერიეთ ერთმანეთს, თუმცა მუსიკას სხვა უკრავდა, ჩვენ მხოლოდ ბანს ვაძლევდით. დიდი კონსტანტინესი არ იყოს, როგორც ადრე მრავალგზის ყოფილა: "ვინმე გამორჩეული თუ გამოგვერია, უნდა დავკორტნოთ". და ამ "კბენა-დაკბეჩვამ" ქვეყანა სიღარიბის ზღვარს მიღმა მიიყვანა; "მზის და ვარდების" ქვეყანა გაანადგურეს და ეს, მერმისში, ღმერთმა ნუ ქმნას, განმეორდეს და სამშობლო სანატრელი არ გაგვიხდეს...*

მართლაც არსად არ არის სხვა ცა **"უძირო, ლურჯი, ხალასი"**, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს მხოლოდ თბილისია, მარტო **"კარენნოი"** თბილისელები არიან ჭეშმარიტი ქართველები, სხვანი კი **"პროვინციალები"**. მაგრამ, ნუ იტყვით, და თურმე ჩამოსულები, რომლებიც შემდეგში პროფესორები, აკადემიკოსები და მწერლები ხდებიან, ვერასოდეს ეზიარებიან იმ სულს, თბილისელებს რომ აქვთ. ამდენად, ისინი ნაკლებად არიან ქართველები. მავანთა უკუფილოსოფიით დიდი ილია, აკაკი, ვაჟა, ცოტნე დადიანი, გალაქტიონი, ქუჯი, ფიროსმანი, ილია ვეკუა, იაკობ გოგებაშვილი და სხვა სასიქადულო მამულიშვილები ჭეშმარიტი ქართველები არ არიან, იმიტომ, რომ თბილისელები არ იყვნენ.

როგორც ბატონი თენგიზ კუბლაშვილი განგვიმარტავს (**"ილორი"**, 2009, წერილში **"ფარაჯანირებისათვის შობილნი"**, ფარაჯანოვი კი იყო საბჭოთა სომეხი რეჟისორი, ჩვენ მისი საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს) **"ფარაჯანირების"** ერთი შტრიხის – აქცენტის, უფრო სწორად, თბილისის კოსმოპოლიტურ უბნებში გაჩენილ, და მხოლოდ თბილისელი სომხების ქართულზე ზეგავლენით – თავისებური ბინძური არომატის შექმნის და მისი სხვა კომპონენტების **"ტო"**-ს, ყარაჩოღლური თუ კინტოურობის ცრუ ბოჰემური რომანტიზმის დასაცავად, ე.ი. **"კარენნოი"**, ჭრელი თბილისელების დასაცავად. თურმე პერიფერიებიდან კანონიერებისა და თვითონ თბილისის დასაცავად, **"ონწე"** (აკვანის) ენის დასაცავად, უფრო გასაგებად: **"ენა, მამული, სარწმუნოების"** დასაცავად – პერიფერიებიდან მოზღვავებული **"ზრზოსაგან"**, უფრო კონკრეტულად, **"სუნიანი"** მეგრელებისაგან დასაცავად (ეს თავად რამდენჯერმე მსმენია იმ შორეულ, ავბედით, შავბნელ დღეებში – **ა.თ.**).

მოკლედ, **"თბილისელები"** ებრძვიან მეგრელებს,, ძირძველ ქართველებს, ან არა და, თუ სხვა არაფერი, მეგრელების სისუფთავე და **"პეწი"**, ასევე თავდადებაც, საქვეყნოდ ქებულია.

ასევე ცნობილია – სხვადასხვა ეროვნების ბევრი გამოჩენილი ენათმეცნიერი, (ნიკო მარზე რომ არაფერი ვთქვათ) მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წარსულში ყველა ხალხისათვის ერთი საერთო ენა უნდა არსებულიყო და ის მეგრულ-სვანურლაზურ-ჭანურში მოიძიება. ისინი ამტკიცებენ, რომ **"მეგრული ენა არის ძირი ენა ქართველურ ენებს შორის."**

მაგალითად, **"ვარდნა"**, მეგრულად დო-ლაფა, უფრო სრული სახით: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი. მსოფლიოსათვის ეს მხოლოდ მუსიკალური ბგერებია, რომელიც არაფერს ნიშნავს. რა აზრიცაა მასში კოდირებული, იშიფრება მხოლოდ მეგრულ ენაზე. ამრიგად, მეგრული ენა კოდის გასაღებს წარმოადგენს (ავიღოთ თუნდაც სიტყვა **"ა-ღდგომა"**).

ავიღოთ **"ფესტოსის დისკო"**, რომელიც 100 წელია აღმოჩენილია, მაგრამ მსოფლიოს უდიდესმა ლინგვისტებმაც კი ვერ გაშიფრეს. საიდუმლო ამოხსნა ახალგაზრდა ენათმეცნიერმა გია კვაშილავამ მეგრულის მომარჯვებით. აღმოჩნდა, რომ ეს არის 4.000 წლის წინათ დაწერილი ჰიმნი – საგალობელი ნანასადმი (დედისადმი), ქურუმებისადმი (ეს კი ჩვენი ენისათვის ბალღობის ასაკია). და სამწუხაროა, რომ მაინცა და მაინც ამ პრეისტორიულ, ალბათ, ერთადერთ ცოცხალ ენას, ყოველ შემთხვევაში, ქართველურებიდან მაინც – მეგრულს, და ამ ენის მემკვიდრე მეგრელებს, ძირძველ ქართველებს შეგნებულად ებრძვიან ვაი-ქართველები და მათ აყოლილი უჯიშო, უბირი მასები.

ჩვენი დიდებული წინაპრების შთამომავლები, რომლებიც ნათხოვარი, ნასესხები და საკუთარი მცირედი დანაზოგით ჩამოდიოდნენ პროვინციებიდან, დღეს თავდადებულად იბრძვიან თბილისის გადარჩენისათვის, საქართველოს გადარჩენისათვის, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტ თბილისელებთან ერთად. მავანნი კი იბრძვიან პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, თანამდებობების საშოვრად, რისთვისაც თავის დროზე, დანაშაულებრივი ორგანიზაცია **"მოქალაქეთა კავშირის"** წიაღში ჩამოყალიბდა საზოგადოება **"თბილისელი"**. სწორედ ისინი ამჟღავნებენ დიდ სიძულვილს ეროვნული მოძრაობისადმი, რამაც დანგრევის პირად მიიყვანა სრულიად საქართველო. სწორედ ამაზეა ნათქვამი:

**"სიძულვილით ბინძურ-ბინძურ ვიარეთ,<br>განვლილ გზაზე შურის ქვიშა ეყარა,<br>ჩვენ რაცა გვჭირს – ძმათა სიძულვილია,<br>სიძულვილით დავანგრიეთ ქვეყანა!"**

მათ არ უნდათ დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო, მათ არ სურთ ზვიად გამსახურდიას საქართველო, სძულთ ყოველივე ქართული ეროვნული და ტრადიციული განდიდების მანიით შეპყრობილებს. პირად ამბიციებს შესწირეს სამშობლო, და როგორც იტყვიან, **"ნაბან წყალს ბავშვიც თან გააყოლეს"**.

როგორც ზვიადი ბრძანებდა, **"ეს გააკეთა შევარდნაძის ჯიბის ინტელიგენციამ"**, იგივე **"წითელმა ინტელიგენციამ"**. ყოველივე ამის აღსაქმელად ხშირად უნდა მოვუსმინოთ ხოლმე ამგვარი ინტელიგენციის უდიდეს ექსპერტს, ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს, თავად რაფინირებულ ინტელიგენტს, დიდ ერისკაცს, რომელიც ქედმოუხრელად ეზიდება მძიმე ჯვარს, რომელიც ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს იმ ულირს და **"უძღებ"** შვილებს, რომელთა ანგარებას **"ნაჭერ-ნაჭერ"** ეწირება საქართველო. საქართველო უჯიშო გადამთიელთა საასპარეზო არენად არის გადაქცეული, მაშინ, როცა სამშობლოდან უკრაინაში გავაქციეთ შესანიშნავი მწერალი და ადამიანი გურამ პეტრიაშვილი, ასევე შესანიშნავი პოეტი და გულმხურვალე პატრიოტი რაულ ჩილაჩავა. ამ წერილსაც რაულ ჩილაჩავას ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსის ბოლო ტაეპით დავამთავრებ:

**"მესმის ჩივილი დიდვეზირის – დრო უფრო წახდა,<br>სანამდე გაძლოს უნაგირზე რაინდმა კახთა,<br>მალე გარსევან ხელს მოაწერს სამეფო ტრაქტატს,<br>გადავრჩით იქნებ! თუ გადავრჩით, შენს პირს შაქარი!"**

**ალეკო თოდუა**

# ტერენტი გრანელი

*ცნობილი ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის ლერი ალიმონაკის ბიოგრაფიული რომანი "კვირის წირვები ანუ ცხოვრება ტერენტი გრანელისა" ასახავს XX საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტის ტერენტი გრანელის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ესეისტურ-ფსიქოლოგიური თხრობის ჭრილში გამოკვეთილია პოეტის რთული პიროვნება, ოციანი წლების წინააღმდეგობებით აღსავსე ტრაგიკული მოვლენები, ტერენტი გრანელის სწრაფვა პოეტური და ეროვნული თავისუფლებისაკენ. ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტებს აღნიშნული წიგნიდან.*

"მოვკვდები ღამით, გათენებისას, როდესაც გარეთ იქნება ზამთრის გაცივებული მთვარე და ყინვა. სიკვდილის წინ მომაგონდება ზამთრის ღამეები და ჩემი უზენაესი და: ეს ორი შეერთებული კოცონი, რომელიც მწვავდა მე ყოველთვის... ასე გათავდება სინათლე, გაქრებიან მოგონების წამები. გადავეცემი სიკვდილის მდუმარე ხელებს. ჩემი წამებული სხეული შეუერთდება მსოფლიო ელემენტებს, და მე ვიგრძნობ უმაღლეს მოსვენებას. ჩემი კუბო იქნება სადა და პროცესია უცრემლო. მე დამასაფლავებენ შუადღის ორ საათზე თბილისის ახლოს. ჩემი დაკრძალვის დღეს აიშლებიან ფერადი ღრუბლები და ამოვარდება შორეული გრიგალი, ბალდახინი, რომელიც წაიღებს ჩემს ცხედარს, იქნება თეთრი და მოძველებული. პანაშვიდს გადამიხდის ვინმე უბრალო მღვდელი, რომელსაც არ ექნება წაკითხული ჩემი სისხლიანი წიგნი "მემენტო მორი". არ შევეცოდები მღვდელს, რომელსაც არ ეცოდინება ჩემი დაფერფლილი სულის ისტორია. მხოლოდ ცხედართან მდგომ პოეტებს მოაგონდებათ ჩემს დანისლულ ლექსებიდან სტრიქონები. მოვა უიმედობა. პანაშვიდი გათავდება ქარში. ჩემს ცხედარს ნელა ჩაუშვებენ სამარეში. და პირველ მიწას სახეზე მომაყრის ვინმე უხეში მესაფლავე. კუბოს ფიცარზე შეწყდება უკანასკნელი გუგუნი მიწის და ქვების. პროცესია დაიშლება. მე და სიჩუმე დავრჩებით მარტო. გზაში ისაუბრებენ ჩემზე. დაღამდება... მე შემეშინდება მარტო სასაფლაოზე, ღამით. დავტოვებ კუბოს და ტანშიშველი გამოვიქცევი სამარიდან... და გიჟივით ვიკივლებ, რომ მომეშველონ, რომ დამიფარონ. არავინ იქნება ჩემი მხსნელი, ისევ დავეცემი, – თავს **ვიგრძნობ სამარეში და კვლავ მივეცემი ძილს დაუსრულებელს. ნთელივით თავზე დამადგება ჩემი განუყრელი და – სიჩუმე. თეთრად დასუდრული იქნება მთელი ქვეყანა. ის სოფელი, სადაც მე დავიბადე, დაემსგავსება უდაბნოს. გაივლის ზამთარი წვიმით და ქარებით. დადგებიან გაზაფხულის დღეები. შეიფოთლება სასაფლაო. კვირა დილით, როდესაც ყველა მლოცველისათვის გაიღება ეკლესიის კარი, ჩემ საფლავთან დაფიქრებული მოვა ვინმე ქალი, მოიგონებს ჩემს დამწვარ სახეს. ასე გაივლიან საუკუნეები. ჩემ საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის. ჩემ მიერ უხილავ საღამოს ბინდი დაფარავს მივიწყებულ ლოდებს და ჩემი საფლავი შეიმოსება სიბნელით. წამოვა წვიმა, ქარიშხალი და მოწყენილ საფლავზე დამაყრის ყვითელ ფოთლებს. ასე, დროთა შავი წვეთებით დახავსდება ჩემი სამარე, ზედ წამოიზრდება ბალახი. ზაფხულში, საღამო დროს, ჩემს საფლავს ჩაუვლიან თეთრად გამოწყობილი ქალები, შორს სარკესთან უცნობი დაუკრავს როიალს. დილაადრიან უიმედოდ იკივლებენ ორთქმავლები. მოვა კვირადღე და ჩემს ახლო დარეკავენ ზარებს, აანთებენ სანთლებს. დაიღლებიან ხელაპყრობილი მლოცველები. წირვა გათავდება. საყდარს დაკეტავენ, ხატები დამწყვდეულ ტუსაღებივით დარჩებიან შიგ, და სასაფლაოს ჩხავილით გადაუფრენს ყვავი. გაქრება თვალები, რომელზედაც ესვენა თბილისის ღამეები მძიმე ლოდებივით. და ჩემი სამარის სამუდამო დარაჯი იქნება ჩემი უზენაესი და – სიჩუმე..."**

დგას შუა საყდარში, სურამიდან ლტოლვილი, და ჩაესმის ეს სტრიქონები, ათი წლის წინათ რომ იდუმალმა ხმამ უკარნახა, ჩაესმის და ახსენებს მისტერიულ დაცემასა და აღდგომას, ჩამქრალი თვალებით დაჟინებით უმზერს ერთ წერტილს და გრძნობს დასასრულის მოახლოებას. გამოხსნილია ბედისწერის ყველა ნასკვი და მხოლოდ ერთიღა შერჩენია ხელთ, მტკიცედ რომ შეუკრავს უხილავ ხელებს და უხილავი ხელებითვე მოუწერია სიკვდილის მაუწყებელი რიცხვი: **"1934"**. დგას ახლა ღმერთის უმაღლეს სინათლეში დანთქმული, ატრიალებს ხელში ამ უკანასკნელ ნასკვს და საკუთარი ხელებით ცდილობს მის გამოხსნას. მთელი თავისი წუთისოფელი ბედისწერას ებრძოდა, მის დაფარულ და გამოუთქმელ ძალას, და რაც უფრო მეტად ებრძოდა, მით მეტად ისადგურებდა მის ელვარე თვალებში ბედისწერის შორეული აჩრდილები. და ცხოვრობდა არა მომავლის იმედით, შეუცნობელ უფსკრულად რომ ესახებოდა, არამედ ბედისწერის იმედით, ღვთისანაბარა, ფარულ სიხარულსა და მწუხარებას რომ ანიჭებდა. მხოლოდ ამ სიხარულითა და მწუხარებით თუ გრძნობდა, რომ ცოცხლობდა, რომ არსებობდა. ისე მიელტვოდა ბედისწერას, როგორც სული – უსაზღვროებას, სული მარადი, ბიწიერებისაგან განწმენდილი და განსპეტაკებული. ისე მორჩილებდა ბედისწერის იდუმალ ხმას, ვით წუთისოფლის ამაოებას, ვით გარდაუვალ ხვედრს, იმ ხვედრს, ზეციური სინათლე და სულის სიწმინდე რომ უნათებდა. ბედისწერა ხომ გარდაუვალობაა და ისიც მორწმუნე აღმსარებელივით მორჩილებდა ამ გარდაუვალობას: **"ქვეყნის გლოვა და წყევლა ჩემს იღბალს უკვე მიწვდა. თითქო კუბოში ვწევარ, თითქო მაყრიან მიწას..."** დგას ჩამქრალი და ელოდება ანთებას, ჩამავალი მზის ანარეკლი, ეკლესიაში სხივებად დაღვრილი, კვლავ რომ აუნთებს სულში სინათლეს, კვლავ რომ აუსხივოსნებს ჩაფერფლილ თვალებს; დგას უძრავად და დაჟინებით უმზერს ერთ წერტილს, თითქოს იქ ეძიებდეს არსებობის ძირსა და ფუძეს, უმზერს და იხსენებს რაღაც დაკარგულს, რაღაც უხსოვარსა და დავიწყებულს. ჩამავალი მზის ანარეკლი კი უცხოფერად აცისკროვნებს მაცხოვრის მწუხარ სახეს და კვლავ ჩაესმის საიდანღაც ორღანის ზემოწიერი ხმები, თოვლის თეთრი ფანტელებივით რომ ცვივა ახლა მის არსებაში, და დანისლულ ქვეყნებში გადახვეწილი მისი მახსოვრობა კვლავ უბრუნდება თავის ჩამქრალ კერას. სექტემბრის ფერმკრთალი დღე კი ილევა და მზე მშვიდად მიესვენება სადღაც, მთავრდება სინათლე და იწყება ღამე, სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყარი გამოუთქმელ მწუხარებას ამეფებს და ამ გამოუთქმელ მწუხარებაში იბადება ლოცვა პოეზიისა, ნახევრად დაბინდულ და გაცრეცილ საგნებიდან მოჟონავს იდუმალი ქროლვა სულისა, რაღაც ავისმომასწავებლად მდუმარებს მთელი ქალაქი, ყოველდღიური არსებობით გადაღლილ ადამიანებს ლოცვისა და ვედრების სურვილი ეუფლებათ. თავდება საღამოს წირვა და საყდარი ნელ-ნელა ცარიელდება, გამოდიან ნელი და მძიმე ნაბიჯებით, მწუხარე სახეებით და შიშჩამდგარი თვალებით, მაგრამ შთაგონებულნი და რწმენით აღვსილნი. საყდარში ისევ იკმევა საკმევლის ნელსურნელება, დაუმქრალი სანთლები ისევ ასხივოსნებს ხატებს, აქა-იქ ისევ დალიცლიცებენ ეკლესიის მსახურნი, ჩაღვენთილ სანთლებს აგროვებენ. მღვდელი სახარებას კეცავს, ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ყუთში დებს და მორიდებით უახლოვდება შუა საყდარში უძრავად მდგომს, შეხმიანებას ეკრძალება, ისეთი ელვარე თვალებით უმზერს თეთრ რაშზე ამხედრებულ წმინდა გიორგის, შუბაპყრობილი გველეშაპს რომ გმირავს; და ესმის – უხმობს მხედარი. გაფითრებული მზერა ქრისტეზე გადააქვს, ჯვარზე გაკრულ ქრისტეზე: დალურსმული ხელ-ფეხიდან სისხლი სდის, უძირო სევდითა და ტკივილით ალბეჭდილი თვალები ჯერ კიდევ ადასტურებენ ჯვარცმულის სიცოცხლეს; და ესმის – უხმობს ჯვარცმული. მერე ღვთისმშობელს მიაპყრო მზერა, დიდხანს, ძალიან დიდხანს უმზირა, თითქოს რაღაც დავიწყებულის გახსენებას აპირებსო, ვით ყარიბი ვინმე, უდაბნოებში მოხეტიალე, მშობლიურ ალაგს დაბრუნებული...

## წუთი პოეზია

ასე თეთრია ეს ჩემი ფიქრი<br>(წუხელ ოცნებას ცისკენ მოვყავდი).<br>მე დავდიოდი შენ სახლის ირგვლივ<br>და შენ, ძვირფასო, სხვაგან იყავი.<br>ალბათ გულიდან სისხლი მდიოდა<br>და გული ჩანდა უფრო სტრიქონთან,<br>ვწუხდი, ეს წამი რომ გადიოდა,<br>ვწუხდი, ეს წამი რომ დროს მიჰქონდა.<br>და იყო შალი და თეთრი სკამი,<br>მე ვისვენებდი, ქროდნენ ზინდები.<br>და იყო წამი, ცისფერი წამი<br>და იყო წამი სხვა გარინდების.

ტერენტი გრანელი

ბიბლიოთეკა

# ახალი დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენები ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხებზე

გამოვიდა და **„ილორში“** იბეჭდება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის კლიმენტი შელიას წიგნი **"კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება"**.

ნაშრომი იწყება შემდეგი აბზაცით: **"საქართველო მსოფლიოს პირველი ქვეყანაა, ქართული ენა მსოფლიოს პირველი ენაა. საქართველოს წარღვნის წინანდელი ისტორია აქვს, თბილისის დამაარსებელი თუბალები წარღვნისდროინდელი ტომები იყვნენ"**, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ცნობილი მეცნიერის, პროფესორ ლევან სანიკიძის დებულება: **"იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე"**.

ამ ძირითადი დებულების დასამტკიცებლად ავტორს მოტანილი აქვს მრავალი მასალა და ისტორიული დოკუმენტი ძველი მსოფლიოს გამოჩენილი სწავლულების ნააზრევიდან და თანამედროვე მეცნიერების უახლესი აღმოჩენებიდან.

ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ საქართველო უძველესი დროიდან ერთი ქვეყანა, ერთი ეთნოსი იყო და ქვეყანაში ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა. კოლხეთის წინარე ეპოქაში ერთიან საქართველოს იბერია ერქვა.

ატლანტიდის შესახებ მსოფლიო ლიტერატურაში აღმოჩნდა წარღვნამდელი **("წყარ-ღვრა")** ქართული ტომი, ხალხი **"კოლხუა"**, რომელსაც კატასტროფამდელი ატლანტიდის მოსახლე ხალხად მიიჩნევენ. ამის შესახებ მასალები გამოქვეყნებული აქვს ირლანდიური წარმოშობის ამერიკელ მეცნიერსა და მწერალს იგნატიოს დონელს წიგნში **"ლათინური ენის წარმოშობა"**, რომელშიც აღნიშნავს, რომ ცენტრალურ ამერიკაში, მაიას ტომში ცივილიზაციამ ატლანტიდიდან შემოაღწია. გამოდის, რომ კოლხუას ტომმა კოლუმბამდე მრავალი საუკუნით ადრე აღმოაჩინა ამერიკა და იქ დიდი კულტურული მისია შეასრულა, მაიას ტომს თავისი ალფაბეტი შეუდგინა. დონელი, – წერს კ. შელია, – ეყრდნობა XVI საუკუნის ესპანელი მისიონერის დიეგო დე ლანდას ხელნაწერ წიგნს **"მაიას ტომის ისტორია"**, რომელშიც აღწერილია წარღვნამდელი მაიას ტომის ისტორია, **"მაიას ამბანი"** და ამ ანბანის წინასახე **"კოლხური ანბანი"**. ყველა ეს მასალა შეისწავლა და დაადასტურა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ბოდე ბერბომ.

ალბათ შემთხვევითი არ იყო ის ფაქტიც, რომ ქრისტეფორე კოლუმბის ეკიპაჟში, რომელმაც ამერიკა აღმოაჩინა, შედიოდა სამი კოლხი მეზღვაური – ძმები მოლაშხიები და ლიპისკუა.

პროფესორი კლიმენტი შელია გარკვევით მიუთითებს, რომ აშშ მეცნიერებმა, ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებმა (ხელმძღვანელი პროფ. ბრაიან საიქსი) აღმოაჩინეს, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან არიან წამოსულები (კავკასიაში მაშინ კოლხები ცხოვრობდნენ). ეს დიდი აღმოჩენა, რომელიც აღტაცებით მიიღო მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ, ამერიკელებმა გააკეთეს 2007 წელს. მანამდე კი, 1999 წელს, ვლადიმერ ალფენიძემ წამოაყენა დებულება, რომ ევროპელები ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში უძველეს დროში საზღვაო გზით გადადიოდნენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიური (კოლხური) გენი აღმოაჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთ ინდიელთა ტომის წარმომადგენლებს.

ამერიკელ მეცნიერთა აღმოჩენით, კავკასია (კოლხეთი) მსოფლიოში ადამიანთა მოდგმის გავრცელების მთავარი კერა ყოფილა, რომ თანამედროვე ევროპელთა რასა მუტაციის გზით კავკასიაში ჩამოყალიბებულა და შემდეგ აქედან გავრცელებულა მთელ ევროპასა და ამერიკაში (კლ. შელიას ნაშრომი, გვ.14).

ცნობილია, რომ თავდაპირველად კოლხეთს ერქვა **"ენგური"**, **"ინგური"**, მაგრამ როგორც პროფესორი მიხაკო წერეთელი მიუთითებს, ებრაელმა არქეოლოგმა იულიუს ოპერტმა (გარდაიცვალა 1905 წელს), რომელიც სამხრეთ საქართველოში არქეოლოგიურ გათხრას აწარმოებდა, ქვეყნის სახელწოდება **"ენგური"** შეცვალა სიტყვით **"შუმერი"**, ხოლო ქვეყნის მცხოვრებთა სახელწოდება **"ენგურელი"** სიტყვით **"შუმერული"**. ოპერტის მიერ **"შუმერად"** წოდებული სახელმწიფო არის სამეგრელოს სამეფო (ნ. ფოფხაძე, ბ. სოფია, ზ. ქაფიანიძე და სხვები) **"ენგური"**, **"ეგარი"**, როგორც მდინარის, ისე ქვეყნის სახელწოდება ყოფილა. ქვედა მესოპოტამიის ქალაქ ერედუში მდებარე ღვთაება ენქის ტაძარი **"ინგური"** პროტოშუმერული პერიოდისაა.

**"კოლხი"**, **"კოლხა"** ჩვენი ქვეყნის უძველესი დედაქალაქია, რომელიც დაარსა ქვეყნის მეფე ანმარემ **("ზეცის კაცი")**. მისი ზეობის პერიოდია ძველი წელთაღრიცხვის 3.185-3.120 წლები. მეფის სურათი სამეფო გვირგვინით და კვერთხით გამოქვეყნებულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ისტორიულ წყაროებში. ანმარე ფლობდა საქართველოს და მის მიმდებარე უზარმაზარ ტერიტორიებს – სამხრეთით მეგრელთა ყურემდე (ამჟამინდელი სპარსეთის ყურე), დასავლეთით ნილოსის ხეობის ჩათვლით, სივრცეებს მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე, კავკასიის, ივერიის ან იბერიის ნახევარკუნძულს, ხმელთაშუა ზღვის აუზს მდინარე **რა**-მდე (ვოლგამდე) და ჩრდილოეთ ინდოეთის ტერიტორიებს.

ნაშრომის ავტორი წერს, რომ ქართველთა – კოლხი მოსახლეობის მონათესავე ტომებად ითვლებიან აფრიკის ვრცელ ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი თეთრკანიანი ბერბერები (ამასვე ამტკიცებს დიდი რუსი პუბლიცისტი ვასილ ველიჩკო თავის წიგნში **"კავკასია" – "ილორი"**). ბერბერები ძირითადად ცხოვრობდნენ ალჟირში (მოსახლეობის ერთ მეხუთედზე მეტი), მაროკოში და სხვა ქვეყნებში. აფრიკაში უძველესი დროიდან ცხოვრობენ აგრეთვე მეგრულად მოლაპარაკე შავკანიანები. ამის შესახებ მიუთითებდა ჟურნალი **"მოამბე"** XIX საუკუნეში და ქართული პრესა XX საუკუნის 80-იან წლებში. **"მეგრელ ზანგებთან"** შეხვედრა ალჟირში ჰქონდათ ქართველ საბჭოთა მეზღვაურ სიორიძეს და სხვებს. გარდა ამისა, უძველესი კოლხური ტომები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ცხოვრობენ.

წყაროებით გარკვევით ჩანს, რომ ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნეში ჩრდილოეთ საქართველოს სამეფო მითანის მეფე რატის ასული თათუ ქიმეთის (ეგვიპტის) მეფის – ფარაონ ექნატონის (ეხნატონის) მეუღლე ხდება, ხოლო ფარაონის სიკვდილის შემდეგ ეგვიპტის ფარაონი – ნეფერტიტის სახელით (ამ სახელით იცნობს მას მთელი მსოფლიო). ნეფერტიტი ეგვიპტეს 3 თუ 4 წელი მართავდა, რომლის შემდეგ ტახტზე დასვეს 8-10 წლის ტუტანჰამონი, ქვეყანას კი მართავდა ფარაონის მრჩეველი – პრემიერ-მინისტრი, რატის ძმა, (ნეფერტიტის ბიძა) **აია**. ტუტანჰამონი 18 თუ 19 წლის ასაკში დაიღუპა, რომლის შემდეგ ათი წლის განმავლობაში ქვეყანას მშვიდად მართავდა აია (ეია) – ნეფერტიტის ბიძა. კლიმენტი შელია ასკვნის: **"ცნობილია, რომ ანმარეს თავზე ებურა ერთიანი ქიმეთის სახელმწიფო გვირგვინი, რომელიც ტრადიციის მიხედვით ათასწლეულების შემდეგ ებურათ იქაურ მეფეებს. ეს გვირგვინი ებურა ჩვენი დიდი წინაპრის მეფე რატის ასულს თათუ ნეფერტიტს"** (გვ.44).

ამერიკელი უფოლოგების აზრით, კაცობრიობამ **"ცხოვრება ისწავლა"** ძველი შუმერებისგან, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5.500 წლის წინ, რომ მათ თიხის ფირფიტებზე ყველაფერი ეწერა ჩვენი წარმოშობისა და მომავლის შესახებ, რომ შუმერებმა ყველაფერი **"აუნაკის"** კულტურისაგან ისწავლეს, რომ **"აუნ ნაკი"** ციდან დაშვებულს ნიშნავს, და **"მართლაც"**, შუმერის უძველეს ქალაქ ერედუში ციდან დაეშვა პირველი სამეფო ხელისუფლება.

სწორედ 5.500 წლის წინ და უფრო ადრეც, აღნიშნულ ტერიტორიებზე მეგრულ-ლაზურ (ქართულ) ენაზე – ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობდნენ.

პროფესორი კლიმენტი შელია უყურადღებოდ არ ტოვებს უცხოელი მეცნიერების მიერ უკანასკნელ პერიოდში მოპოვებულ აღმოჩენებს და ახალ შრომებს. კერძოდ, განხილული აქვს ცნობილი მეცნიერის იური მოსენკინის ნაშრომი **"უცნობი ქართველური ენა და მესოპოტამიაში ქართული დინასტიის მმართველობის 600 წლისთავი"**. ი. მოსენკინი წერს: **"შეიძლება გარკვევით ვივარაუდოთ, რომ კასიტური ენა კიდევ ერთი უძველესი ენაა ქართველური ოჯახისა, მისი მატარებელთა დინასტია მართავდა ბაბილონს XVIII საუკუნის შუა წლებიდან XII საუკუნის შუა წლებამდე ძველი წელთაღრიცხვით"**.

**"აქედან და სხვა მრავალი მასალიდან, წყაროებიდან, – წერს კლ. შელია, – გამომდინარე, კეთდება უტყუარი ლოგიკური დასკვნა: ისევე, როგორც სხვა გარკვეული ტერიტორიები, მესოპოტამია, ბაბილონი, ოთხი ათასი და უფრო დიდი ხნით ადრე კოლხურად იმართებოდა და მმართველობა ხდებოდა კოლხურ ენაზე"** (გვ.17).

ასევე მსოფლიო მკვლევარებმა, განსაკუთრებით არქეოლოგებმა, უკანასკნელ პერიოდში მოახდინეს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის აღმოჩენები. აქ აღსანიშნავია ალექსანდრე ვოლკოვის ნაშრომი **"ჭიპლარის მთის სამლოცველოს გამოცანები"** და 1995 წელს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გიობეკლი-ტეპეში დაწყებული მსოფლიოში უძველესი სამლოცველოს გათხრები, რომლებიც აგებული იყო ნეოლითის ეპოქაში. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მონადირეები და **"ველურები ველურებს"** შორის – ააგებდნენ ტაძრებს. განსაკუთრებით წარმოუდგენელია იქ აღმოჩენილი სიმბოლოები, რომლებიც აშკარად მიგვანიშნებენ დამწერლობაზე. მაგრამ მეცნიერები გაკვირვებული არიან, როგორ შეიძლებოდა 11 ათასი წლის წინ დამწერლობა ყოფილიყო?! ეს არის შიშველი ბორცვი, რომელიც მდებარეობს თურქეთისა და ქურთების საზღვარზე, მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის (ძველი კოლხური მდინარეები) სათავეებში. გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული (ხელმძღვანელი კლაუს შმიდტი) გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა ოთხი წრიული ნაგებობა, რომელთა კედლების გასწვრივ და ცენტრში ნაპოვნი თითქმის ოთხი ათეული მონოლითური სვეტი, რომელიც იწონიდა 20 ტონამდე. კედლის რელიეფში გამოსახული იყო T-სებრი სვეტი და ასო-ნიშნები H და სხვა. ასევე გამოსახული იყო ცხოველები – იქ შეიქმნა ქვის საუკუნის მთელი **"ზოოპარკი"**. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მიწაში ჩამარხულია კიდევ ორი ასეული ქვის სვეტი (გათხრები შეწყვეტილია, რადგან თურქეთსა და ქურთებს შორის შეტაკებები ხდება – ომი მიმდინარეობს).

არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ეს იყო ნეოლითის პერიოდის მსხვილი სამლოცველო, რომელიც მეცნიერებს აიძულებს ხელახლა გადაწერონ ადრეული ისტორიის მნიშვნელოვანი თავები. ეს ის ეპოქაა, როცა ჩვენს სამყაროში არ იცოდნენ არც მიწათმოქმედებს და არც მესაქონლეობა, ძველი კოლხები კი ეკლესია-ტაძრებს აშენებდნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ დღევანდელი თურქეთის მთელი ტერიტორია და მიმდებარე ვრცელი სივრცეები, უძველესი დროიდან კოლხური ტომების სამოსახლო იყო. აქედან გარკვევით გამომდინარეობს, რომ გიობეკლი-ტეპეს – ჭიპლარის (მეგრულად **"ჩუპას"**) მთაზე არსებული ეკლესია-ტაძრები და ამ ეკლესიაზე არსებული ასონახატები და ასო-ნიშნები, – როგორც ა. ვოლკოვი წერს, – **"ისტორიულ წარსულს, ფაქტებსა და მოვლენებს გადატრიალებას უპირებს... როგორც არქეოლოგები ვარაუდობენ, გათხრები მეცნიერებს აიძულებს ხელახლა გადაწერონ ცივილიზაციის ადრეული ისტორიის მნიშვნელოვანი თავები"**.

როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ინფორმაციის კოდირების უძველეს სისტემასთან. მეცნიერები ერიდებიან საუბარს დამწერლობის შესახებ, რადგანაც ეს ამსხვრევს ადამიანური კულტურის ჩამოყალიბების შესახებ დამკვიდრებულ წარმოდგენებს და მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ **"გიობეკლი-ტეპეს მშენებლები შეტყობინების შესადგენად და სხვა ადამიანებისათვის გადასაცემად სარგებლობდნენ რთული სიმბოლიკით"** (კლაუს შმიდტი).

კ. შმიდტმა კარგად იცის, რომ ზემოთ აღნიშნული ეკლესია-ტაძრების სვეტზე გამოხატული სიმბოლიკების, ნახატების, ასონიშნების გაშიფვრა-ამოკითხვა რთული საქმეა. ამიტომ ამბობს: **"თუმცა, საეჭვოა, რომ უახლოეს მომავალში საიმედოდ იქნას განმარტებული გიობეკლი-ტეპეს სიმბოლიკა"**.

ყველაფერი ეს შესაძლებლობას აძლევს კლ. შელიას თქვას: **"მაგრამ დღეს თუ ხვალ, ერთი, ხუთი თუ მრავალი წლის შემდეგ კაცობრიობას მოუხდება "ცივილიზაციის ადრეული ისტორიის" გადაწერა და იმის აღიარება, რომ კაცობრიობის ისტორია კოლხეთით დაიწყო, რომ მსოფლიოს პირველი ენა კოლხური (მეგრული) ენა იყო და შემდეგ წარმოიშვნენ სხვა ქვეყნები და სხვა ენები.**

**კაცობრიობა მუდმივად ხომ არ მოტყუვდება... ის როდესაც კარგად ჩახედავს ისტორიულ წყაროებს და საბუთებს, აღიარებს ჭეშმარიტებას"**. (გვ.51).

ბატონ კლიმენტი შელიას სარეცენზიო წიგნში მითითებულია მასალები იმის შესახებ, რომ ინჟინერმა შოთა ხვედელიძემ გაშიფრა-ამოიკითხა 4 ათასი წლის წინანდელი იბერიული ტაბულა, რომელიც 1975 წელს მადრიდიდან გამოაგზავნა ცნობილმა მეცნიერმა მანუელ დე დრანგიმ და რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში **"ტექნიკა მოლოდიოჟი"** – გაშიფვრის სისწორეს ადასტურებს აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, რუსი აკადემიკოსები ა. ბელოპლიედევსკი, ცნობილი ისტორიკოსი ი. ბარაჟკოვი, კუიბიშეველი მეცნიერი-ბასკოლოგი ი. ზიცარი და სხვები. მაგრამ რუსმა შოვინისტებმა დაინახეს, რომ ქართული დამწერლობის საწყისმა ისტორიამ შეიძლება გადაიწიოს 4 ათასი წლით, ამიტომ ყველაფერი გააკეთეს საქმის მიჩქმალვისათვის. ასევე, ახალგაზრდა მეცნიერმა გია კვაშილავამ გაშიფრა 4 ათასი წლის წინანდელი **"ფესტოსის დისკო"**, რომელიც აღმოჩენილი იქნა 1908 წელს კოლხების უძველეს საცხოვრისში კუნძულ კრეტაზე, თიხის ფირფიტაზე ორივე მხარეს ოქროს ყალიბით ამოტვიფრულია 244 ნიშანი და სხვა სიტყვა-კომპოზიტი.

2008 წლის 31 ოქტომბერს – 1 ნოემბერს ლონდონში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა **"ფესტორის დისკოს"** აღმოჩენის 100 წლისთავს. იუბილეზე პროფესორ გია კვაშილავას მოხსენება იყო მსოფლიო კონფერენციია გვირგვინი და მშვენება, რომელშიც წარწერებიანი დისკო ამეტყველებულ იქნა პროქართულ – კოლხურ ენაზე.

**პროფესორები: ჯემალ ჯინჯიხაძე, იაკობ ახუაშვილი, იოსებ კაპანაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია 1918-1921 წლებში

**1918 წლის 26 მაისს თბილისში, მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში, გამართულ ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნ. ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დამოკიდებლობის აქტი.**

თურქებმა ისარგებლეს ამიერკავკასიის სეიმის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის არცნობით, განავითარეს სამხედრო შეტევა და დაიკავეს საქართველოსა და სომხეთის საგრძნობი ნაწილი.

**14 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დახმარებისა და მფარველობისათვის გერმანიას მიმართა. გერმანიის ხელისუფლება დადებითად მოეკიდა ამ თხოვნას: ფელდმარშალი ლუდენდორფი იგონებდა, რომ საქართველოს თხოვნის მეშვეობით შესაძლებელი ხდებოდა კავკასიური ნედლეულისა და რკინიგზების გამოყენება თურქებისაგან დამოუკიდებლად. „...ამიტომ მე ვიშუამდგომლე იმპერიის კანცლერის წინაშე საქართველოს თხოვნის დაკმაყოფილებისათვის," – წერდა იგი.**

28 მაისს ფოთში გერმანიისა და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებათა პაკეტს. იმავე დღეს გერმანიის წარმომადგენელმა ფონ ლოსოვმა საიდუმლო წერილით აღუთქვა საქართველოს ხელისუფალთ, რომ შეეცდებოდა, დაეყოლიებინა გერმანიის მთავრობა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებში ამ უკანასკნელისათვის მხარდაჭერის აღმოჩენაზე, რუსეთისაგან გამოყოფის შემდგომ კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე.

ა. ჩხენკელი გერმანიის დელეგაციას ბერლინში გაჰყვა. თურქეთთან საზავო მოლაპარაკების გაგრძელება ითავა ნ. რამიშვილმა, რომელიც 31 მაისს ჩავიდა ბათუმში. ბათუმში საზავო მოლაპარაკება დასრულდა 1918 წლის 4 ივნისს. **„ზავის და მეგობრობის"** ხელშეკრულება თურქეთს აკუთვნებდა მთელ მესხეთს, აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით.

საინტერესოა რუსეთისა და ანტანტის ქვეყნების რეაქცია საქართველო-გერმანიის დაახლოების ფაქტზე.

**ბოლშევიკურ რუსეთში საქართველოში ამ დროისათვის შექმნილი სიტუაციას ასე აფასებდნენ „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა – სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ".**

ანტანტის ქვეყნები, რომელნიც გერმანიას ეომებოდნენ, ასევე თვლიდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არარეალური იყო. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ფრენკ პოლკი სწერდა 31 ივლისს დიდ ბრიტანეთში ამერიკის ელჩს პეიჯს:

**„დოქტორი კიულმანის 24 ივნისის გამოსვლიდან ჩანს, რომ გერმანიის მთავრობამ ცნო საქართველოს „დამოუკიდებლობა". კიულმანის განცხადება, თურქული პრესის ტონი და სხვა ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ ცენტრალურმა სახელმწიფოებმა საქართველო სრული კონტროლის ქვეშ მოაქციეს".**

1920 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის საერთო კრებაზე იხილებოდა საქართველოს ამ ორგანიზაციაში წევრად მიღების საკითხი. საკითხის დაყენება ერთა ლიგის საერთო კრებაზე ჟენევაში მომზადდა ერთა ლიგის მუდმივ სამდივნოსთან მოლაპარაკებებისა და მიმოწერის გზით 1920 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე.

ერთა ლიგა, წესდების თანახმად, მიზნად ისახავდა **„თანამშრომლობის განვითარებას ხალხთა შორის და მათი მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტიას".**

საქართველოს და სხვა ახალგაზრდა ქვეყნებს ერთა ლიგისაკენ იზიდავდა მისი წესდების მეათე სტატია. ამ სტატიის თანახმად, ერთა ლიგის წევრები იღებდნენ ვალდებულებას, პატივი ეცათ და დაეცვათ ორგანიზაციის ყველა წევრის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მაგრამ სწორედ ეს სტატია გახდა საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანების ხელისშემშლელი გარემოება. განხილვაზე სიტყვით გამოვიდნენ ფ. ნანსენი (ნორვეგია) და რ. სესილი (სამხრეთ აფრიკა). ნანსენმა საქართველოს მხარდამჭერი სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

სესილმაც მხარი დაუჭირა საქართველოს მიღებას ერთა ლიგაში. შემდგომ ამისა, სიტყვა მოითხოვა ინგლისის წარმომადგენელმა ფიშერმა. მან განაცხადა, რომ ნანსენისა და სესილის განცხადებები სწორია, მაგრამ საქართველოს დაცვა სირთულეს წარმოადგენს. არ შეიძლება საქართველოს საკითხის განცალკევება ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა საკითხისაგან (საქართველოს საკითხის განხილვამდე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვივიანი ბალტიის ქვეყნების ერთა ლიგაში გაწევრიანების წინააღმდეგ გამოვიდა). **„მე ვითხოვ დაფიქრებას საკითხზე, მზად ვართ თუ არა, ვურჩიოთ ჩვენს მთავრობებს, აღმოუჩინონ მატერიალური დახმარება ამ მამაც პატარა სახელმწიფოს, თუ ამგვარი აუცილებლობა დადგება,"** – დასძინა ფიშერმა.

კენჭისყრაში 24 სახელმწიფო მონაწილეობდა. საჭირო იყო 16 ხმის მიღება. საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრებას მხარი დაუჭირა 10-მა სახელმწიფომ. ინგლისისა და საფრანგეთის ოპოზიციამ საქართველოს ერთა ლიგაში მიღება შეუძლებელი გახადა.

**იმავდროულად საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებდა ანგორის მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენელ კიაზიმ-ბეისთან. იგი ცდილობდა, მოეპოვებინა თურქეთის დაპირება დახმარების ან ნეიტრალიტეტის შესახებ. 1921 წლის 11 იანვრის შემდეგ თბილისსა და ანგორას შორის მოხდა დეპეშების გაცვლა. თურქეთი დათანხმდა, გაეწვია სამხედრო დახმარება იმ პირობით, თუ საქართველო უარს იტყოდა ოლთისის დაბლობზე და დათმობდა არდაღანის მხარეს.**

თურქებს ესმოდათ, რომ დემოკრატიული საქართველო უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა. ამიტომაც მათთვის მთავარი იყო, მოქმედებათა დაწყებამდე ხელთ ეგდოთ მომენტი, რათა მოვლენებისათვის წინ არ გაესწროთ და არც დაეგვიანებინათ. 17 თებერვალს ნოე ჟორდანიამ განაცხადა საქართველოს მთავრობის თანხმობის შესახებ თურქეთის პირობებზე, თუ **„თურქეთი დაუყოვნებლივ გადმოვიდოდა საქართველოს მხარეზე"**. ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 1921 წლის თებერვალში ანკარაში ჩასულ საქართველოს წარმომადგენელ ს. მდივანთან, **მაგრამ თურქეთი საქმეს აჭიანურებდა და არც დახმარებია საქართველოს, არდაღანსა და ართვინში კი ჟორდანიას თანხმობით თავისი ჯარები შეიყვანა.**

* * *

დამოუკიდებლობის დროს ტფილისი მხიარულად სცხოვრობდა. არ ჩამორჩებოდა პროვინციაც. მართალია, გზების მოჭრის გამო, პირველ ხანებში ხალხი ბევრ ნაკლს განიცდიდა, მაგრამ ტფილისის საზოგადოება მაინც **„გემოზედ"** იცვამდა. სჭარბობდა სამხედრო ჩაცმულობა. დიდ სამსახურს უწევდა ხალხს ზამთარში – ომის მონარჩენი ფრენჩი, ზაფხულში – ნარმის ხალათი. თუ ხალხს ბევრი რამ აკლდა, სამაგიეროდ ღვინოს ჰქონდა ამ წლებში კარგი მოსავალი. გატანა შეუძლებელი ან ძნელი იყო და შინ წყალივით იღვრებოდა. კაცმა მართალი უნდა სთქვას, ჩვენი **„დემოკრატია"** პურადი იყო. თითონაც შეექცევოდა, სტუმრებსაც დროს ატარებინებდა, ამდენი მხიარულობა ტფილისს არასოდეს არ უნახავს, კრებას ბანკეტი მოსდევდა, ბანკეტს – კრება, ტფილელობაც თავის ხელისუფლებას ბაძავდა და რესტორნებში ერთი ვარხალალო და სიტყვების რახარუხი იდგა.

მახსოვს ერთი ასეთი ბანკეტიც ქართულ კლუბში გამართა მთავრობამ და სტუმრებად გერმანული და ავსტრიული მისიები ჰყავდა. მე ამ ბანკეტზედ არ ვყოფილვარ, მაგრამ როცა მთავრობა და მისიის ოფიციალური პირნი წავიდნენ, გენერალმა ვას. გაბაშვილმა, რომელიც ბანკეტს დაესწრო, დანარჩენ გერმანელებს ახალი სუფრა გაუშალა და კლუბიდგან რამდენიმე კაცი მიგვიპატიჟა. ვისხედით დიდხანს და გერმანელები და ავსტრიელები სიამოვნებით სვამდნენ ჩვენებურ ღვინოს, მაგრამ ბანკეტი არც ამით გათავდა. ნამდვილი **„ახალი სუფრა"** ახლა კლუბის ოფიციანტებმა გაუშალეს გენერალ გაბაშვილს. გაბაშვილი ტფილისში მუდამ დიდი ვინმე იყო. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც პირველ ქართულ ჯარს მთავარსარდლობდა. მისი სტუმრებიც ხომ ნახევრად გერმანელ-ავსტრიელები იყვნენ. ჩვენი ფრიად გაწვრთნილი ოფიციანტები, ძველს დროში ამას ვერ გაბედავდნენ, მაგრამ დრო იყო ქართული, პატრიოტული და **„ეროვნული სიხარული"** ყოველივე **„საზღვარს"** ლახავდა. რა თქმა უნდა, ოფიციანტები ჩვენთან ერთად სუფრაზედ არა მსხდარან და მხოლოდ მასპინძლობას გვიწევდნენ.

**ამავე ბანკეტზედ ასეთი ამბავიც მახსოვს. როცა ყველაფერი გათავდა, გრაფი შულენბერგი სახლში მე გავაცილე. დილის მეშვიდე საათი იყო, ტფილისი ახლად იღვიძებდა. მხოლოდ თავისუფლების მოედანზედ შევნიშნე, რომ კაიზერის წარმომადგენელს და კუზენს თავზედ ქუდი არა ჰქონდა და არც ხელში ეჭირა. შულენბერგი ძველი „ტფილისელი" იყო. ომის წინ ჩვენში კონსულად იყო და ჩვენებური ღვინის ძალა კარგად იცოდა, მაგრამ ეტყობა, ამ ღვინოს სავსებით ეჯობნა დღეს. დავბრუნდით ქუდის მოსაძებნად და შემდეგ სურათს წავაწყდით: „დელეგაციას", რა თქმა უნდა, ჩვენსავით შეზარხოშებულს, დიდის მოწიწებით მიჰქონდა ეს ქუდი, ალბათ, გრაფის ბინაზედ.**

**ოსმალეთთან ომმა, ახალციხის ოპერაციებმა, სომხების თავდასხმამ, გლეხების აჯანყებამ – ხან აქ, ხან იქ, გაგრის ფრონტმა, ოსების განდგომამ, ტერორმა ქართლში, ხან კი მთელი მაზრის „კანონგარეშე" დაყენებამ და მიწის კანონმა, რომელიც, აგრეთვე, ქვეყანაზედ თავდასხმას უფრო ჰგავდა, ვიდრე სახელმწიფო რეფორმას, დღემდი ისეთი შთაბეჭდილება დასტოვეს ჩემზედ, თითქოს ამ სამი წლის განმავლობაში გამუდმებულ ომში ვიყავით. აქედგან იყო ეს გამუდმებული ლხინიც, თანამავალი ყველა ომების, ჯერ კიდევ ჰომეროსის დროიდგან და ჩვენში დიდი ომისაგან გაცხოველებული.**

ტფილისი, ერთ დროს მეფეთა საჯდომი, შემდეგ რუსებისაგან კავკასიის სანამესტნიკოს ცენტრად გამოცხადებული და ნაირ-მოსახლეობაში ათქვეფილი ისევ საქართველოს დედაქალაქად იქცა. აქ იჯდა საქართველოს მთავრობა, აქავე იყვნენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ამ მთავრობასთან.

**იმ დროს, როდესაც ქართული საზოგადოება იმ ტრადიციას აგრძელებდა, რომლის ფესვები ძველ ისტორიულ წიაღში იყვნენ წასულნი, ჩვენი დემოკრატია ჟორდანიას პირით აცხადებდა, რომ „ძველი საქართველო" ისე მოკვდა, არც ერთი დაწესებულება არ დაგვიტოვაო". ჩვენი ოცსაუკუნოვანი ისტორია ქართული „დემოკრატიისათვის" დაწესებულება არ იყო. აღორძინების გზაზედ შემდგარი ერი ამბობდა, რომ ეს წარსული მდიდრად ნაწერი ეტრატი იყო. ჟორდანია უპასუხებდა, რომ საქართველო „ტაბულა რაზა" არისო. ასე გამოეყო რესპუბლიკა ქართულ ისტორიას, „დემოკრატია" – ქართველ ერს, მთავრობა – ქართულ შემოქმედებას.**

სამაგიეროდ, მას სურდა, ისეთი საქართველო შეექმნა, რომელიც არც ოდესმე ამბად თქმულა, არც სადმე წიგნად წერებულა. ჩვენ კურთხეულ დემოკრატიულ საქართველოში მოხდა ამბავი, რომელიც ქართულ რესპუბლიკას, შესანიშნავად ახასიათებს. ტფილისში არსებობდა ირაკლი მეფის სახელობის სკოლა, ერთადერთი ძეგლი, რომელიც ჩვენ შესანიშნავ მეფეს, ჯერ კიდევ რუსების დროს თავის სატახტო ქალაქში ჰქონდა. მე ეხლაც არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ ტფილისის ქალაქის სომხურმა საბჭომ და რუსის ადმინისტრაციამ ამის ნება დართო. სამაგიეროდ კარგად ვიცნობდი ამ სკოლას, ვინაიდგან გამგედ ჩემი ნათესავი ჰყავდა, დავდიოდი ხშირად, ვხედავდი ქართველ ბავშვებს, რომლებიც იქ სწავლობდნენ და, რაც მთავარია, ყოველთვის ვკითხულობდი რუსულ წარწერას, ძალიან სადას და განგებ პატარას, რომ სკოლა ირაკლი მეფის სახელობისა იყო. თითქოს პატარა რამეა, მაგრამ სხვა უჩვენო ერში პატრიოტი ქართველები შვილებს განზრახ ამ სკოლაში მიიყვანდნენ და რადგან ეს სკოლა პატარა იყო, იქ შესვლა საცილო საგნად გახდებოდა. ასე იქმნება პატარა რამედგან დიდი ეროვნული ტრადიცია. მაგრამ მდიდარ და **„განათლებულ"** ქართველებს თავისი შვილები იქ არ მიჰყავდათ და ამაზედ არცა ვნანობ. იქ სწავლობდა ჩვენი მდაბიო ხალხის შვილობა, ქალაქის უბრალო ხალხი, რომელსაც ჩვენი დიდებული მეფის ხსოვნა უფრო მეტად მიაჩნდა და მიაჩნია, ვიდრე მდიდარ და **„განათლებულ"** ქართველობას. მე მგონია, საქმისათვის ეს საუკეთესო იყო. ჩვენმა რესპუბლიკამ აი, ამ სკოლაზედ გაილაშქრა.

**ერთ დღეს, გაქართულებულმა ტფილისის ქალაქის საბჭომ, არც მეტი არც ნაკლები, ამ სკოლას, როგორც დემოკრატიისათვის შეუფერებელი, ირაკლი მეფის სახელი მოხსნა და როგორც „ქართული დემოკრატიისათვის" ფრიად შესაფერი, რუსული სახელი მიაკერა. ვინ იყო ეს რუსი, აღარ მახსოვს და არც საყურადღებოა. როცა ქვას გესვრიან, სულერთია, მარმარილოა, თუ რიყის ქვა! მთავარი ის არის, რომ ეს მოხდა ქალაქის საბჭოს დარბაზში, როდესაც ყველა ლამფები ენთო და პატიოსანი ხალხი, რომელმაც ეს მოიმოქმედა, ერთმანეთს კიდევ პირში უყურებდა! ეხლა, როცა ამ დემოკრატიის „უწარჩინებულესი" ნაწილი, ერისა და ქვეყნის სასახელოდ პარიზის ტროტუარებს სტკეპნის და თავის ბედნიერი თვალით ხედავს, რომ დემოკრატიის ქალაქში ცოცხალი პრეზიდენტის გვერდით, გაქვავებულ მეფეთა ძეგლებიც ბევრია, იქნება ვინმე დაგვეთანხმოს, რომ საფრანგეთის დემოკრატია არც თუ ისეთი ჩამორჩენილი ყოფილა. მაგრამ მაშინ ტფილისში, როცა ქალაქის მოურავად განსვენებული ბენია ჩხიკვიშვილი იყო, ხოლო ქალაქის ერთ პატარა სკოლას ირაკლი მეფის სახელი ერქვა, ასეთი რამ ქართულმა დემოკრატიამ ისეთ სირცხვილად და ჩამორჩენილობად მიიჩნია, რომ არაფრის წინ არ დაიხია და მეფე ირაკლი ტფილისიდგან „გადაასახლა". პატრიოტებმა პროტესტი განაცხადეს, მაგრამ ქალაქის საბჭოში ისინი ცოტანი იყვნენ. საზოგადოება აღშფოთდა. თუმცა რესპუბლიკაში ვცხოვრობდით, თუმცა „დრონი მეფობენ და არა მეფენი"-ო, არის ასეთი ანდაზაც! მაგრამ ირაკლი მეფე მაინც ირაკლი მეფე იყო! პეტრე დიდის ძეგლი ბოლშევიკებსაც არ მოუსპიათ. ასეთი შეურაცხყოფა იმ პატარა ქართველებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ რუსების დროს თავი იმითი მოჰქონდათ, რომ ირაკლი მეფის სკოლაში სწავლობდნენ.**

ჩვენს პროტესტებზედ და საზოგადოების უკმაყოფილებაზედ **„დემოკრატიამ"** ყურიც არ გაიბერტყა. სკოლას ირაკლის სახელი მოხსნეს და პატარა დაფა, რომელსაც დიდი ქართული სახელი ეწერა, სადღაც მიაგდეს. ეროვნული გრძნობის ასეთი შელახვა და ეროვნულ წესრიგის ასეთი დარღვევა დამოუკიდებელ საქართველოში ფეხის ყოველ ნაბიჯზედ ხდებოდა. **განა ვისთვის იყო საჭირო, რომ ტფილისის ერთ უმთავრეს ქუჩას „პლეხანოვის პროსპექტი" დაარქვეს? მხოლოდ რამდენიმე თუთიყუშისათვის, რომელიც პლეხანოვს საქართველოში ჰყავდა! მაგრამ ეს მოხდა და მრავალი სხვაც. არ იყო სამინისტრო, სადაც თითო რუსი მაინც არ მჯდარიყოს – ჩვენი ეროვნული მთავრობის „პარტიული" ამხანაგი. გვარდიის შტაბი, პროფესიონალური კავშირები, პარტიული პრესა არაქართული ხალხით იყო სავსე. ასეთი იყო „საქართველოს" სოციალ-დემოკრატიული პარტია. განა დღეს ბევრს ახსოვს, რომ „ქართული" მიწის კანონი რუსმა ნერუჩევმა დასწერა?! ამ კანონს მერე ცოტა ფერი უცვალეს, ხომერიკის თხზულებად მონათლეს და ცხოვრებაშიაც შემოიღეს. საქართველოს მინდვრებში სტეპკა რაზინის, პუგაჩოვის და ლენინის სული დათესეს...**

წარსული საქმეა და მსჯელობა დამშვიდებული შეიძლება. ისეთი ამბავი, როგორიც ქართული სკოლისგან ქართველი მეფის სახელის მოხსნა არის, დემოკრატიულს არაფერს შეიცავს და ხალხს არასოდეს არ მოეწონება. ქართველმა მეფეებმა საქართველო დიდებით განვლეს და დღეს მის პანთეონში განისვენებენ. იმათი აქედგან გამოდევნა გულიდგან – სიყვარულის, სინდისიდგან – მადლობის და თავიდგან – ჭკუის განდევნას ნიშნავს.

**ქართულმა „დემოკრატიამ" ამ დღეს მაღლა შეაფურთხა და მერე სახე შეუშვირა. ეს სეირი მთელმა საქართველომ ნახა! იმ ცრუმორწმუნეობისაგან, რომელიც ბედნიერებას ეკონომიკურ და პოლიტიკურ სუბორდინაციაში ხედავდა, იწყება ახალი ხანა ერების აღორძინებისა, რომელთა ინტერესები ისევე ძვირფასია პროგრესისა და კულტურისათვის, როგორც ინტერესები ყველა აქამდე თავისუფალ ერებისა.**

**„საქართველო"** №8, იანვრის 11, 1918 წ.

**თემურ ქორიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერი და მერი ანუ ტეფტის ფორმულა, ვასილიჩი და მატომე უგაკი

## უკრაინულ ზამთარს ქართული გაზაფხული მოსდევს

**საქართველო უახლოვდება მორიგ პოლიტიკურ კრიზისს ისე მორჩილად, როგორც სიკვდილმისჯილი ეშაფოტს. გარკვეული შინაგანი შფოთვა, რაღა თქმა უნდა არის, თუმცა საბედისწერო გეზის შეცვლის სურვილი და შესაძლებლობა, ნამდვილად არ შეინიშნება. ხელისუფლების და ოპოზიციური პარტიების განწყობა უკვე დღეს ცხადყოფს, რომ გაზაფხულზე მწვავე კონფრონტაციის გარდა ვერაფერს შემოგვთავაზებენ. არსებობს თუ არა შანსი, რომ მოსალოდნელი კრიზისი განსაკუთრებით მძიმე შედეგების გარეშე დასრულდეს?**

### სიცრუის ფორმულა

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, 30 მაისის **„ადგილობრივი არჩევნები მეტია ვიდრე უბრალოდ არჩევნები"**. ისე, ამ ქვეყანაში **„უბრალოდ არჩევნები"** დიდი ხანია აღარ ტარდება, სულ გადამწყვეტი ბრძოლა და ტიტანების შერკინებაა. მთავარი კითხვა კი საკმაოდ მარტივია: არის თუ არა რომელიმე პოლიტიკური ძალა საკმარისად თავდაჯერებული იმისთვის, რომ ხელისუფლების შეცვლისთვის რეალური ნაბიჯები გადადგას?

**„შტატების ელჩი ჯონ ტეფტი ეუბნებოდა საქართველოში პირველად ჩამოსულებს, რომ ქართველი პოლიტიკოსების უპირველესი წესი არის ყველაფრის გაზვიადება 25%-ით, თუ არა მეტით"**,- ეს ციტატა რონალდ ასმუსის ახალი წიგნიდანაა **„პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო"**. მისი ხანგრძლივი და მტკივნეული ციტირება ჯერ კიდევ წინ გვაქვს. ამჯერად, მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ ქართულ პოლიტიკაში ჭეშმარიტების დადგენისას, ალბათ, მართლაც აჯობებს **„ტეფტის ფორმულა"** (x=0,75y) გამოვიყენოთ.

სწორედ ეს 25%, სავარაუდოდ ქმნის ერთგვარ სიცრუის ველს, რეალობის აღქმის მრუდე სარკეს, რომლის ტყვეობაში უპირველესად თავად პილიტიკოსები ექცევიან. ნებისმიერ სიტუაციაში, რომლის განვითარებიდან ლოგიკურად ერთი შედეგი უნდა დადგეს (მაგალითად 2+2=4), **„ასმუს-ტეფტის კოეფიციენტს"** სრული გაურკვევლობა შეაქვს – შედეგად ჯამში ხან 5-ს ვიღებთ, ხან 7-ს, ხანაც (გამოთქმისთვის ბოდიში) 3,14-ს მზარდ პროგრესიაში.

ყოველივე ეს სახალისო იქნებოდა, რომ არა შედეგების სიმძიმე: **მაგალითად, რეალობისგან ერთ-ერთმა ბოლო აცდენამ 2008 წლის აგვისტოს ომი წარმოშვა – ეს აზრი რონალდ ასმუსის თხზულებას ერთგვარ რეფრენად გასდევს. ამერიკელი დიპლომატის წიგნი სულაც არ წარმოადგენს ჭეშმარიტებას ბოლო (გნებავთ ბოლოსწინა) ინსტანციაში, თუმცა მის მიერ შეგროვებული (რიგ შემთხვევაში საკმაოდ ოსტატურად ინტერპრეტირებული) ფაქტები, სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ მკითხველს საქართველოს ხელისუფლების მსუბუქი არაადეკვატურობის შთაბეჭდილება დარჩეს (აბსოლუტურის არა, ასე 25%-იანის).**

მასში კიდევ ერთი საინტერესო ქვეტექსტის დაჭერა შეიძლება. ამ მხრივ, წიგნი უცნაურად ჰგავს სულ სხვა ჟანრში და გაცილებით მაღალი ოსტატობით დაწერილ **ბარბარა ტაკმანის „აგვისტოს ზარბაზნებს"**, რომელიც I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე მოგვითხრობს. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, მკითხველს შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, მეტიც, ღრმა შინაგანი რწმენა იმისა, რომ **დიდ ბრიტანეთს (ასმუსის შემთხვევაში აშშ-ს) კრიზისის ფორმირებასა და ომის გაჩაღებაში განსაკუთრებული ბრალი არ მიუძღვის, და იგი, უბრალოდ, გარემოებათა უიღბლო კომბინაციის მსხვერპლი გახდა. ამ აზრის თავს მოხვევა, ირიბად, მოვლენების თავბრუდამხვევი აღწერის მიღმა ხდება.**

თუმცა ეს ნიუანსებია,– ისევ **„ტეფტის ფორმულას"** დავუბრუნდეთ: **სწორედ არაადეკვატურობის კოეფიციენტის წყალობით, გაზაფხულის მოსალოდნელმა კრიზისმა შეიძლება გამოიღოს შედეგი, რომელიც მოცემულობიდან ლოგიკურად არ გამომდინარეობს, ისეთი როგორსაც, საზოგადოება და საერთაშორისო მოთამაშეები ნაკლებად ელიან. ამას კიდევ ერთი ფაქტორი ემატება: გარე ძალების ჩარევა პროცესებში შედარებით შემცირებული იქნება. უკრაინის მაგალითი თვალწინ გვაქვს. გლობალური ბალანსის შეცვლის, რიგი სხვა გარემოებების გამო ვაშინგტონი იძულებულია, ნაწილობრივ მაინც, უარი თქვას უშუალო ჩარევაზე პოსტ-საბჭოთა ქვეყნების საშინაო საქმეებში.** ამგვარად, რიგ შემთხვევებში ქართველ პოლიტიკოსებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება მოუწევთ. კურატორების კონტროლის შესუსტება გარკვეულ წილად უკვე დაეტყო ხელისუფლებას და იგი საკმაოდ მძიმე შეცდომებს უშვებს (მაგალითი: იგივე უკრაინის არჩევნებში ჩარევის მცდელობა. როგორაა ნეტა ვასილიჩი?).

ორიოდე სიტყვით ვასილიჩზე; როდესაც პარასკევს საღამოს უკრაინელმა ძალოვნებმა კიევის ცენტრში 1968 წელს დაბადებული, ტროტილით და პისტოლეტით შეიარაღებული ქართველი მამაკაცის დაკავების შესახებ გვამცნეს, გულმა ავი იგრძნო – ვასილიჩიც ხომ 68-შია დაბადებული, ხომ არ გაუდგა იგი იაპონელი ვიცე-ადმირალის, **მატომე უგაკის** გზას, და მარცხის აღიარებას სამურაის ღირსება არჩია; უგულვებელყო რა ბრძანება კაპიტულაციის შესახებ და ერთგულ კამიკაძეებთან ერთად მაინც აიჭრა ცაში უკანასკნელ პაემანზე ამომავალ მზესთან. მშფოთვარე წარმოსახვა ხატავდა შარფებით შემოხვეულ გივი ვასილიჩს (კიევში ცივა), რომელიც მერყევი ნაბიჯებით (ტროტუარები მოყინულია) ხრეშჩატიკს მიუყვება. გაყინული თითები პისტოლეტს ებღაუჭებიან, ხოლო ტუჩები იმეორებენ: **„ნეტავ დავეცე, სპეტაკი როგორც საკურას ყვავილი გაზაფხულზე"**... თუმცა მალევე გაირკვა, რომ დაკავებული სულ სხვა პიროვნებაა, ხოლო ის, რომ მატომე უგაკი და ვასილიჩი განსხვავებული მისწრაფებების და გაქანების ადამიანები გახლდნენ იმთავითვე ცნობილი იყო.

### აბერ შენ და აბერ გერმანია

**ზოგადად, ქართული პოლიტიკის თანდადანობითი, თუნდაც იძულებითი, გამოსვლა ამერიკელთა კონტროლიდან მისასალმებელია, თუმცა ამ მედალს მეორე მხარეც აქვს. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი მეზობელი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში წარმატებით კონტროლდებოდა ასათიანის ქუჩაზე თეთრხალათიანი პროფესიონალების მიერ, უცებ სადარბაზოში შემოგვეფეთა. თითქოსდა ყველაფერი წესრიგშია, ადამიანი გამოწერეს, იგი იღიმის და კეთილგანწყობას აფრქვევს, მაგრამ არც ერთი ჩვენგანი არ მოტრიალდება ისე, ზურგს უკან რომ დატოვოს, მითუმეტეს რომ ჯიბიდან სამართებელი უჩანს.**

ცვლილებებს საერთაშორისო არენაზე, ქარველი პოლიტიკოსების რეპერტუარში საგულისხმო სერენადების გაჩენა მოყვა. ირაკლი ალასანია: **„ჩვენ რეალურად უნდა გავხსნათ სავაჭრო-ეკონომიკური და საკომუნიკაციო ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, დავიწყოთ სახალხო დიპლომატიის რესურსის ამოქმედება. ამავდროულად, ამ პროცესში უნდა ჩავრთოთ სერიოზული ევროპული ლიდერები. ეს შეიძლება იყოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ან ნებისმიერი სხვა ქვეყანა, რომელსაც წონა აქვს რუსეთისთვის და შუამავლის როლს იკისრებს პოლიტიკური დიალოგის აღდგენის მიმართულებით"** (საინფორმაციო სააგენტო **„პირველი"**).

ნიშანდობლივი იყო ნინო ბურჯანაძის გამოსვლაც ტელეკომპანია **„კავკასიის"** ეთერში (3 თებერვალი), როდესაც დავოსის სამიტზე (იქ სააკაშვილი არ მიუწვევიათ) გამართულ შეხვედრებზე საუბრისას, რამდენჯერმე, თითქმის ხაზგასმით, ახსენა აზრთა გაცვლა სწორედ გერმანიის წარმომადგენლებთან. მან აგრეთვე დაადასტურა მზადყოფნა კრემლთან მოლაპარაკებები გამართოს.

მოკლედ, – მარლენ დიტრიხი რომ იტყოდა 1965-ში: **"Berlin, Berlin, wenn deine Blumen spriessen..."** -ლოგიკურია, პროცესებისგან აშშ-ს შემდგომი დისტანცირების ჭრილში კი, ალბათ, გარდაუვალიც. გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, რაში სჭირდება ეს გერმანელებს? ამ კონტექსტში, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, ბოდენის და შტაინმაიერის სამშვიდობო გეგმების გახსენებაც, რომელთაგან უკანასკნელი, ფაქტობრივად, უშუალოდ ომის წინ მოწოდებულ, ერთგვარ სამაშველო რგოლს წარმოადგენდა. იდეალური ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა, იმ მომენტში ალბათ, ერთადერთი შესაძლებელი გახლდათ. **ფაქტია, დღეს მსგავს გეგმას არავინ შემოგვთავაზებს. დღევანდელი გადასახედიდან, საკმაოდ მკაფიოდ ჩანს, რომ გერმანელები კარგად ხედავდნენ მოსალოდნელ საფრთხეს და მისი განეიტრალებისათვის შეძლებისდაგვარი ნაბიჯიც (ამაო) გადადგეს.**

მიუნჰენის კონფერენციაზე (ამ ღონისძიებამაც რაღაცნაირად სააკაშვილის გარეშე ჩაიარა) გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიდო ვესტერველემ შემდეგი პრიორიტეტები ჩამოთვალა: ევროკავშირის ჯარების შექმნა, გერმანიის ტერიტორიიდან აშშ-ს ბირთვული იარაღის გატანა, **„სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთთან ევრო-უსაფრთხოების და გლობალური პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველყოფისთვის"**. *ხატოვნად რომ ვთქვათ, ადრე მსგავსი განცხადებების შემდეგ, ვაშინგტონში მოითხოვდნენ ჭირვეული ბუნდეს-მინისტრის სკალპის ჩამოკიდებას თავისუფლების ქანდაქების ჩირაღდანზე, თუმცა, როგორც ჩანს, ტომოჰავკები დაუჟანგდათ ან ჩინგაჩგუკები დაუბერდათ.*

**Tres bien**, გერმანია და საფრანგეთი ეკონომიკური კრახის პირას მდგარი საბერძნეთის გადარჩენის ოპერაციას შეუდგნენ. ზოგადად, ამ ორი სახელმწიფოს განმსაზღვრელი როლი პან-ევროპული სივრცის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში დღიდან დღემდე სულ უფრო თვალსაჩინო ხდება; *პასუხისმგებლობის არეალი ფართოვდება, აქედან გამომდინარე რუსეთთან თანამშრომლობაც ინტენსიურ ხასიათს იძენს. ეს რეალობაა – მოსწონს იგი ვინმეს თუ არა. საკუთრივ ამაში მდგომარეობს საერთაშორისო ურთიერთობების განსხვავება მწვავე შიზოფრენიისგან, რომლის ფარგლებში არასასურველი ფაქტორი შეიძლება არარსებულად გამოაცხადო.*

**ამგვარად, ირაკლი ალასანიას ვარიაციები ევროპულ თემაზე (არადა, ამ პოლიტიკოსს საქართველოში ხშირად ვაშინგტონის კრეატურად აღიქვამენ) შემთხვევითი ალბათ არ არის. შესაძლოა, იგი უბრალოდ Zeitgeist-ს, დროის სულისკვეთებას გრძნობს. მოხერხდება თუ არა ჩვენი პრობლემების მოქცევა ევროპული უსაფრთხოების განახლებული მოდელის ფარგლებში (მთავარია, ტროას ცხენად არ ჩაგვთვალონ) მომავალი გვიჩვენებს. ნებისმიერ შემთხვევაში, სიტუაციის განხილვა შარიკოვის პოზიციიდან: „пишут, пишут... конгресс, немцы какие-то... Голова пухнет. Взять всё, да и поделить..."**, ალბათ აღარ გამოგვივა.

### ერი და მერი

**30 მაისის არჩევნების წინ, ხელისუფლების ჩანაფიქრი ოპოზიციის კანდიდატებს შორის ხმების გაფანტვის და ამის ხარჯზე საკუთარი ფავორიტის გაყვანის შესახებ მეტ-ნაკლებად ცხადი შეიქნა. თუმცა, საინტერესოა იმის გარკვევა, შეუწყობს თუ არა იგი ხელს, ერთ-ერთი კანდიდატის, ნავთობკორპორაციის ყოფილი თავმჯდომარის გია ჭანტურიას მიერ მაქსიმალური შედეგის მიღწევას, რადგან ამ ნაბიჯით შეიძლება რამდენიმე არცთუ ურიგო სცენარი აამოქმედოს.**

ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ფიგურა არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც რიგითი ტექნიკური კანდიდატი, რომლის ერთადერთი ფუნქცია, არასაპარლამენტო ოპოზიციის მთავარი ფალავანისთვის (ალასანია იქნება თუ სხვა) ხმების გარკვეული რაოდენობის წართმევა წარმოადგენს. **იდეაში, მას გააჩნია საკმარისი პოტენციალი (კავშირები, ბიოგრაფია, იმიჯი, რესურსები) იმისთვის, რომ სწორი ტექნოლოგიური უზრუნველყოფის შემთხვევაში, საპრიზო ადგილი დაიკავოს, მეტიც, მისი, გასვლა (თუ გაყვანა?) მეორე ტურში შეიძლება სავსებით ბუნებრივად და ლოგიკურად წარმოჩინდეს.**

არასაპარლამენტო ოპოზიციის კანდიდატის მდგომარეობა ფრიად გართულდება იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგების ეჭვქვეშ დაყენება არა მეორე, არამედ მესამე დაკავებული ადგილიდან მოუწევს. ამასთანავე, ჭანტურიას წამოწევა **„მთავარი კონკურენტის"** პოზიციაზე, ხელისუფლების კანდიდატის პოზიციონირებას მნიშვნელოვანწილად გააიოლებს.

ხოლო იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლებას ოპერატიული სითამამე ეყოფა და იგი, სულ რამდენიმე თანაგუნდელის (თბილისთან დაკავშირებულ) ბიზნეს-ინტერესებზე მაღლა დადგება, ერთი სტრატეგიული კომბინაციის გათამაშებასაც შეძლებს: **იმ კანდიდატისთვის, რომელიც მისთვის უშუალო საფრთხეს არ წამოადგენს, პრინციპში, პოსტის დათმობაც შეიძლება. ეს მნიშვნელოვან წილად გაანეიტრალებს თბილისელთა 2/3-ის პროტესტს, რომელსაც მერის სავარძელში „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის ხილვა არ სურს. საერთაშორისო დამკვირვებლებსაც გაუჭირდებათ იმ არჩევნების გაკრიტიკება, რომელსაც ოპოზიციის წარმომადგენელი მოიგებს. ისინი ხომ, ისევე როგორც მათ უკან მდგომი ქვეყნები, ჩვენი საპროტესტო ელექტორატისგან განსხვავებით, ქართველი ქრისტიან-დემოკრატების ოპოზიციურობის ხარისხის დადგენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. შესაბამისად, მომხდარი მთლიანობაში, სავარაუდოდ შეფასდება, როგორც დემოკრატიის დიდი გამარჯვება.** იმის გარანტია კი ხელისუფლებისათვის, რომ ახალი მერი მომავალში მკვეთრ ნაბიჯებს არ გადადგამს, იქნება ქალაქის ბიუჯეტის ფორმირების წესი, ინიციატივების დაბლოკვისათვის საკმარისი წარმომადგენლობა საკრებულოში, სხვადასხვა ადმინისტრაციული ბერკეტები და ფიგურანტის მძიმე ურთიერთობები არასაპარლამენტო ოპოზიციასთან, რომელიც არჩევნების წინარე პერიოდში აუცილებლად ჩამოყალიბდება.

**თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდებია, გაცილებით დიდი ალბათობით, წინასაარჩევნო სიტუაცია უხეშ კონფრონტაციას წარმოშობს და ძალთა მკვეთრ პოლარიზებას გამოიწვევს, რადგან როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეს ისევ იქნება „მეტი ვიდრე უბრალოდ არჩევნები", შესაბამისად მერის და საკრებულოს არჩევის ნაცვლად კვლავ ხელისუფლების საკითხის ყოვლისმომცველ გადაწყვეტასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით.**

დიმიტრი მონიავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელო და სვანეთი




ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

## კორნელი ბოროზდინი

მეორე დღეს ყიფიანის სადგომის პირდაპირ დიდს მინდორზე შეიყარა ხალხი და მამასახლისების არჩევა დაიწყეს; ეს ისტორია მთელი დღე გრძელდებოდა და საღამოზე ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ ჩვენი მზარეული, სადადიანო გლეხი, მამასახლისად აირჩიეს და სახლთუხუცესმა უბრძანა, შენს საქმეს თავი დაანებე და ახლავე ჩემთან გამოცხადდიო. მზარეული თვითონვე სტიროდა და არ უნდოდა ეს არასასურველი და მოულოდნელი ხარისხი, ამიტომ რომ კარგი ჯამაგირი ეკარგებოდა. აშკარად ვხედავდი, ეს ყველაფერი თავად ჩიქოვანის საქმე იყო, რომელიც გულით მონდობილი იყო რამე ევნო ჩემთვის და რომელიც, საბჭოს წევრისაგან ზურგ-მომაგრებული, ძველებურად ფრთის გაშლას აპირობს-მეთქი. მაგრამ მაინც რა უნდა მექნა. ცოლსა ვთხოვე, ახლავე გაუსწორე ანგარიში მზარეულს და გაუშვი-მეთქი.

მეორე დილას, საათის ათზე, საბჭოს წევრისა და მზრუნველისაგან მოწერილობა მივიღე. მოწერილობასთან ერთად გამოეგზავნა სია არჩეულ პირთა, რომელთაც უნდა ემსახურნათ მთავრის მამულში. ეს სია მე სოფლებში უნდა გამეცხადებინა და ამ სახით ყველა ახალს თანამდებობაზე დამემტკიცებინა. მაგრამ 11 საათზე გენერლის გამოგზავნილი კაცი მოვიდა ჩემთან და გაჭირვებულ მდგომარეობისაგან მიხსნა.

გენერალი ნათლად და მკაფიოდ მწერდა: „მზრუნველის ბრძანებით მოხდენილი არჩევნები გააუქმე, ხოლო არჩეულებს ხელწერილი ჩამოართვი და ისე გამოუცხადე, რომ თუ გაბედავს იმ თანამდებობის ასრულებას რომელიც მათ მზრუნველმა მიაკუთვნა, კანონის (ამა და ამ მუხლის ძლით დასჯილ იქნებიან, იმ წოდების დაჩემებისათვის, რომელიც მათთვის მთავრობას არ მიუკუთვნებია“.

კანონის მუხლი სწორედ არ მახსოვს, მაგრამ შინაარსი ასეთი იყო.

იმავე დროს გენერალმა მიბრძანა, მეორე პაკეტი, ლეჩხუმის ოლქის უფროსის, თავად მიქელაძის, სახელობაზე გამოგზავნილი, დანიშნულებისამებრ გამეგზავნა დაუყონებლივ; იმ პაკეტშიაც ის ეწერა, რასაც მე მწერდა გენერალი. მისი ბრძანება მაშინათვე ავასრულე.

არჩეული მამასახლისები ჯერ კიდევ არ წასულიყვნენ და მინდორზე ყაყანებდენ. მოვიხმე, ხელწერილის ჩამორთმევით გამოვუცხადე გენერლის ბრძანება და თავიანთს სახლებში გავუშვი, ხოლო ყოველივე ეს ყიფიანს ვაცნობე ოფიციალურად, თან გენერლის მოწერილობის კოპიოც გავუგზავნე.

ადვილი წარმოსადგენია, რარიგ ეწყინებოდა ასეთი პასუხი იმ მისს ბრძანებითს თხოვნაზე, სამის დღის წინად, როგორც საბჭოს წევრმა, მე რომ გამომიცხადა. ცოტა ხანს შემდეგ დავინახე. რომ მის სახლის აივანთან ერთი ფაცა-ფუცი შეუდგათ, მოიყვანეს შეკაზმული და საბარგო ცხენები და ერთს საათს უკან დიმიტრი ყიფიანიც გამოვიდა გარედ. წამოსხმული ჰქონდა წითელ სარჩულიანი პალტო (ეს შემოიღო ინსარსკიმ სამოქალაქო ღენერლებისათვის), იახლნენ სახლთუხუცესები და ლეჩხუმში წავიდა. აბა რას მოიფიქრებდა, რომ მიქელაძეც გაფრთხილებული დაუხვდებოდა!..

დ. ყიფიანი მივიდა მუხურში, ლეჩხუმის ოლქის უფროსის საცხოვრებელი ადგილში. გაიგო, რომ არც აქ ამისრულდება ჩემი ბრძანებაო და გულმოსული მეორე დღესვე რაჭის გზით ქუთაისში წავიდა, რომ კოლუბიანიკისათვის ეჩივლნა ერისთავთან.

რაკი ასეთი განხეთქილება ჩამოვარდა ჩემს და მზრუნველ შორის, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, გორდში არ მეცხოვრებოდა და ვადაზე ადრე დავბრუნდი სენაკში, მაგრამ ეს ერთი თვეც საკმაო იყო, რომ ციებისაგან თავი დამეფარნა. იმ წელიწადს ციება არა მქონია. მხოლოდ ოსტენ-საკენი გაგვიხდა ავად. ამას ციება განარჯიას-მუხურში შეჰყოლოდა, სადაც ტყის მწარმოებელ ფრანგებთან მსახურობდა ადრე. ეს წყეული ავადმყოფობა ისე ჩააცივდა, რომ მთელი ორი წელიწადი თავი არ გაანება.

1859 წლის მარიამობისთვეში დიდი ისტორიული ამბავი მოხდა კავკასიაში: ამ თვის 25-ში თავადმა ა.ი. ბარიატინსკიმ დაღესტანში ატეხილ ომს ბოლო მოუღო და გუნიბთან შამილი შეიპყრო. ამ წამის დამსწრე კავკასიელთ, სანამ ცოცხალნი არიან, არ დაავიწყდებათ ის აღტაცება და სიხარული, რა აღტაცებითი და სიხარულით ყველა მშვიდობისმოყვარე მცხოვრებში ამ განაპირა ადგილისა ამ ამბავს მიეგებნენ. ყველას ცათაფრენა ჰქონდა შემდგარი, საცაა, მხარე დამშვიდდება და ხალხის წინსვლასა და წარმატებას არაფერი გადაეღობება წინაო. ტფილისში განუწყვეტელი ლხინი იყო, მხოლოდ ერთი რამ აწუხებდათ – ავადმყოფობა თვით კავკასიის დამპყრობელისა, თავადის ბარიატინსკისა. ოთხის თვის განმავლობაში თავადი სულ ომობდა და უნაგირის უზანგიდან ფეხები არ გამოუღია. ნეკრესის ქარები გააჩნდა და ავადმყოფობა ისე საშინლად აღონებდა, რომ მთელის კვირების განმავლობაში ლოგინიდან ვეღარა დგებოდა. ტფილისში დაბრუნებული სულ ავადმყოფობდა და მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეიძლო საქმეებისათვის ხელი მიეყო.

ნოემბერში გავიგეთ, ყიფიანი ბარიატინსკისთან იყო და ვრცელის მოხსენების ქაღალდი მიართვა სამეგრელოს მთავრის მამულის მოვლის შესახებაო. ამ ქაღალდში ყიფიანი საშინლად თურმე უჩიოდა როგორც მთელის ადმინისტრაციას სამეგრელოსას, ისე განსაკუთრებით მ.პ. კოლუბიაკინს. ბარიატინსკიმ ყიფიანის ქაღალდი მასთან მყოფ სენატორს მუხრან-ბატონს გადასცა და მიანდო, მ. პ. კოლიუიაკინმა მოახსენა, ყიფიანი უსაფუძვლო რასმე გთხოვს, მისი თხოვნა რომ ავასრულოთ, მთავრის მამულში ძველი წესჩვეულება წამოჰყოფს თავსაო, გარდა ამისა, იმან ისეთი ხერხი მოიგონა, რომ გლეხ-კაცობა წინანდელზე უარეს სატანჯველში ჩავარდებაო; კოლიუბიაკინმა ისიც მოახსენა, რომ თავი-და-თავი უსაფუძვლობა დ. ყიფიანის თხოვნისა – თვითნებითა გაწერა იყო ხარკისა და გადასახადისა გლეხთა შორის; მერე ყიფიანმა ეს გადასახადი ფულად მოითხოვა; რაკი რუსის ადმინისტრაციამ მხარი არ დაუჭირა და აზრი არ განახორციელებინა, მზრუნველმა განიზრახა ახალი, თავისებური სასოფლო მმართველობა იგივე იყო, რაც სახლთუხუცესის დროს არსებული წესები, რომლებმაც, როგორც ვუწყით, ხალხი ააჯანყა კიდეცა; ყოველსავე ამას დ. ყიფიანი იმასაც დასძენდა, რომ ექვსმა ათასმა სააზნაურო გლეხებმაც გადასახადი უნდა იხადონ, ამიტომ რომ ამათ მთავარი ახდევინებდა, როგორც საჭირო ხარჯს სამეგრელოს მართვა-გამგეობისათვისო. ეს სარჩელიც უსაფუძვლო იყო ყიფიანის მხრივ, ამიტომ რომ სამეგრელოს მართვა-გამგეობა რუსის მთავრობასა ჰქონდა ჩაბარებული, მაშასადამე, ხალხისაგან აკრებილი გადასახადიც რუსის მთავრობას უნდა ჩაჰბარებოდა და არა მთავრის სამზრუნველოს, ხოლო რუსის ადმინისტრაცია არამცთუ არა სთხოვდა ხალხს ამ გადასახადს, არასმედ სავსებით საჭიროდ სთვლიდა რამდენისამე წლით ყოველგვარ გადასახადისაგან გაენთავისუფლებინა სამეგრელოს მკვიდრნი, როგორც გაჭირვებულს მდგომარეობაში მყოფნი. აქაური რუსის ადმინისტრაცია თავისს ჯამაგირს მთავარმართებლის განკარგულებით იმ თანხიდან იღებდა, რომელიც იკრიბებოდა ფოთისა და ყულევის საბაჟოებიდან, ხოლო რაც რუსის ადმინისტრაცია შემოვიდა, სამეგრელოში დაუბაჟავ საქონლის შემოტანა ისე შემცირდა რომ ყოველწლიურმა შემოსავალმა ამ საბაჟოებისამ სამოც ათას მანეთით იმატა.

კოლიუბიაკინმა განუცხადა ბარიატინსკის, თუ ყიფიანის მოთხოვნილებანი შეწყნარებულ იქნენ და ჩემდამი რწმუნებულ მხარეში მშვიდობიანობა დაირღვა, ჩემი ბრალი არ იყოსო.

რა თქმა უნდა, ბარიატინსკიმ როცა ასეთი საბუთიანი აზრი მოისმინა, კოლუბიაკინის მხარე დაიჭირა; მაშინ ყიფიანმა სთხოვა, ნება გვიბოძეთ პეტერბურგს წავიდე და ყოველივე ეკატერინე დედოფალს მოვახსენოვო. ბარიატინსკიმაც ნება დართო და ყიფიანი პეტერბურგს წავიდა. ამ სახით მთავრის მამულების საქმე კავკასიიდან უმაღლეს მთავრობას ჩაუვარდა განსახილველად და, როგორც დავინახავთ, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ქრისტეშობიათვის გასულს მ.პ. კოლუბიაკინი ტფილისიდან დაბრუნდა და ძალიან გახარებული იყო, – საქმე, როგორც მე მინდოდა, ისე გავათავეო.

1860 წლის დამდეგს, სამეგრელოს მართვა-გამგეობას სვანეთიც შემოუერთდა და სვანეთის ბოქაული, თავადი ილიკო ამირაჯიბი, მიხ. კოლუბაკინთან მოვიდა. ამირეჯიბი ქართლელი იყო, ძველად სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა და კაპიტნობა მიეღო. მაღალის ტანისა იყო, ჭაღარა შერეული, ხმელხმელი, ჯერ ისევ მხნედ გამოიყურებოდა. სვანეთში სულ ერთი წელიწადი ცხოვრობდა, მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც ისე დააყენა საქმე, რომ უსაზღვრო ნდობა დაიმსახურა იქაურ მკვიდრთა. მარტოდ-მარტო ცხოვრობდა აქ, უკანცელარიოდ და მხოლოდ ერთი თუ ორი ყაზახრუსი ახლდა თან და მაინც ახარებდა ყველაფერი გაეკეთებინა აქ და ამ მთის ხალხისათვის მამასავით შეეყვარებინა თავი. როცა გენერალს დავთარი წარუდგინა თავის სასამართლო განჩინებითა და გადაწყვეტილებათა, კოლუბიაკინმა სასაცილოდ ერთი მათგანი მაჩვენა. სამოქალაქო საქმეები სასისხლისსამართლო საქმეებთან იყო ერთმანეთში არეული, რაც საქმე ატყდებოდა, ყველაფერს თვითონა სწყვეტდა საბოლოოდ. სხვათა შორის, ასეთი საქმეებიც ერია: „ერთმა სვანმა ესა და ეს სვანი მოჰკლა. დავადგინე: მკვლელს გადახდეს სამი თუმანი და მიეცეს მოკლულის ოჯახობას“. განაჩენი აესრულებინათ და მოკლულის ოჯახობას ჯვარის სახედ ხელი მოეწერნია ნიშნად კმაყოფილებისა. ამირეჯიბსა სწამდა, კანონიერად ვიქცევიო. ამიტომ რომ საბუთად აქაური ადათი და ჩვეულება მაქვსო, ხოლო სვანებს ჩემი მოქმედება სრულიად სამართლიანად მიაჩნიათო. სხვანაირად, ესე იგი, რუსის კანონმდებლობის თანახმად რომ მოქცეულიყო, ვერაფერს გახდებოდა; მკვლელი დაიმალებოდა, ბოქაულს მისი დაჭერა ვეღარ შეეძლო, რადგან საშუალება არ ჰქონდა და, ბოლოს, საქმე იმით გათავდებოდა, რომ მოკლულის ნათესავებს სისხლი უნდა ეძიათ: უნდა მოეკლათ მკვლელი. რა თქმა უნდა, ასეთ გარემოებაში ჩავარდნილი, რვა თვის განმავლობაში თოვლისაგან ხელ-ფეხ შეკრუელი და მთელ ქვეყანას მოწყვეტილი ამირაჯიბი მართალი იყო, კაცი ვერ უკიჟინებდა, რატომ სხვანაირად არ იქცევიო; მის მსგავს ბოქაულის ნახვა ადგილიც არ იყო. აქ საჭირო იყო განსაკუთრებული ნიჭი, უნარი, თავის განწირვა და ერთგულება თავის საქმისა; მოხუცი ამირაჯიბი თითონაც გასვანდა მთლად, მათი ზნე-ჩვეულება შეითვისა და ამნაირადვე ცხოვრობდა, როგორც ეს მთიულები ცხოვრობდენ. როცა სვანეთიდან ზუგდიდში წამოვიდოდა, თითქმის ნახევარი გზა ფეხით უნდა ეარნა მთის ბილიკზე. და ასეთს კაცს სულ მცირე ჯამაგირს აძლევდნენ, წლიურად რაღაც ასოც თუმანს!...

მაისში გარდაიცვალა თეოფანე ჭყონდიდელი, განსვენებული სიკვდილამდე დიდხანს ავადმყოფობდა, ასე რომ მის სიცოცხლეშივე ამორჩეული იყო მის მოადგილედ არქიმანდრიტი მარტვილის ტაძრისა ტარასი. ნეტარხსენებული დიდის ამბით გაასვენეს. მარტვილში თავი მოიყარეს დიდძალმა თავადებმა და მათ შორის აზნაურებმა გაბუნიებმა, რომლებიც თეოფანე ეპიკოპოსს, როგორც გაბუნიას გვარისას, თავისიანად სთვლიდენ.

მარიამობის თვეში გენერალ-გუბერნატორი მ. კოლუბიკინთან ერთად სვანეთში გაემგზავრა სამხედრო ეკზეკუციისათვის. ეკზეკუცია იმიტომ იყო საჭირო, რომ დავა ასტყდა სათავადო, სადადიანო, თავისუფალ სვანებსა და ყარაჩაელებს შორის. ამ დროს გენერალთან მივიდენ სამი ძმანი დასჯილ მურზაყან დადიშქელიანისა–ისლამ, თენგიზი და ციოხი და თავის ნებით მორჩილება გამოუცხადეს; გენერალმა პორუჩიკი პრინცი გააყოლა და სამივე ტფილისში გაგზავნა, ხოლო შემდეგი თავ-გადასავალი მათი ჩვენ უკვე გაგებული გვაქვს.

1861 წლის აპრილის თვეში მე გადაყვანილ ვიქმენ თელავის მაზრის უფროსად. ამავე დროს დიდი ცვლილება მოხდა მთელს ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორში: თავადმა გ. ერისთავმა ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი დაანება, მის ადგილზე ერევნიდან გადმოიყვანეს ნიკ. პეტრესძე კოლუბიაკინი, და რადგან მისთვის უხერხული იყო თავის ძმის, სამეგრელოს მმართველის, უფროსად ყოფილიყო, ამიტომ მიხეილ კოლუბიაკინი ტფილისში გადაიყვანეს სასოფლო სამმართველოს უფროსად, ხოლო მის ალაგზე დანიშნეს ჭილაშვილი. ყოველივე ეს მოახერხა თავად ა. ივ. ბარიატინსკიმ რამდენისამე დღით ადრე, სანამ საზღვარ-გარედ წავიდოდა, სადაც ექიმები გზავნიდენ მოსარჩენად.

სწორედ ამ დროს, როცა თავადი ბარიატინსკი ფოთში გემში უნდა ჩაესვათ, მისი მომავალი ცოლი, ხოლო მაშინ მეუღლე ვ. პ. დავიდოვისა, ელისაბედ დიმიტრი ორბელიანის ქალი, ფოსტის ცხენებს ოდესიდან, სადაც ქმარს თავი დაანება, ხარკოვში მიაქროლებდა. თან მიჰყვებოდა ბარიატინსკის სიძე გვათუა. ხარკოვში ბარიატინსკის საცოლეს შეხვდა ინგლისის პასტორი პალმერი და ინგლისში წაიყვანა. აქ იმან იცხოვრა ორი წელიწადი, მანამ ქმართან განქორწინების საქმე გათავდა, და ელისაბედი თავადს ალ. ბარიატინსკის მისთხოვდა.

სამეგრელოს თავი ვანებე, მაგრამ შორიდან თვალს ვადევნებდი ამ მხარის ამბებს. პეტერბურგში ყიფიანი და სამეგრელოს დედოფალი ცდილობდენ მთავრის სამზრუნველოს საქმე, როგორც თვითონ სწადდათ, ისე დაებრუნებინათ და ხმა მოგვდიოდა – იმედი აქვთ გამარჯვებისო. ამ დროს ერთ-ერთ რუსულ გაზეთში, რომელიც საზღვარგარედ იბეჭდებოდა და რომელსაც კავკასიაში ხშირად შეხვდებოდა კაცი, 1861 წ. 1 ოქტომბრის ნომერში შემდეგი წერილი დაიბეჭდა.

„კავკასიაში რუსების შემოსვლამდე ბატონყმობა არ არსებობდა. გლეხები ღალას აძლევდნენ მემამულეთ, მაგრამ უფლება ჰქონდათ ერთ მემამულისათვის თავი დაენებებინათ და მეორესთან გადასულიყვნენ. სამართალს მათ მიერ არჩეულნი პირნი სწყვეტდენ და სხვა.; საკუთარი მიწა არა ჰქონდათ; ყველა მამულები, რაც საეკლესიო და სათავად-აზნაურო არ იყო, მთავრის კუთვნილებად ითვლებოდა – ასეთ მდგომარეობაში იყო სამეგრელოცა, როცა ეს სამთავრო რუსეთს შეუერთდა 1801 წელს, გრ. დადიანის დროს. ალექსანდრე I-მა დადიანს შეარჩინა უფლება თავის ქვეყნისათვის ძველებურ ჩვეულებათა თანახმად მოევლო, მხოლოდ წაართვა უფლება კაცი ჩამოეხრჩო, დამნაშავისათვის ხელები დაეჭირა, ცხვირი მოეჭრა, თვალები დაეთხარა და სხვ. სამეგრელოს გლეხებმა დადიანების ხელში 1853 წლამდე, ესე იგი, დავით დადიანის სიკვდილამდე, არ იცოდენ, რა იყო რუსეთის ბატონ-ყმობა. დავითის შვილი ნიკოლოზი მანამ სრულწლოვანი გახდებოდა, მანამდე რუსის მთავრობამ სამეგრელოს მართვა დედოფალს, კნეინა ეკატეინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს დადიანისას, ჩააბარა. კნეინა აღმოსავლეთ საქართველოში იყო აღზრდილი, შეეჩვია რუსების მიერ შემოღებულ ბატონ-ყმურ წეს-წყობილებას და თავის თავს ისე უყურებდა, როგორც სამეგრელოს ბატონს. როგორც ხარბმა და ფულის ფლანგვის მოყვარე ქალმა, დედოფალმა რამდენსამე წელიწადში მთელი მხარე ისე გაალატაკა და ცხოვრება გაუმწარა, რომ გლეხებმა, მიუხედავად მათის მორჩილურის ხასიათისა, ვეღარ მოითმინეს და აჯანყდნენ, როგორც ერთი კაცი.

# ყველაზე ნათელი, რომელსაც ბნელი ახლავს

**„აჰა, თავს ვესხმი წინასწარმეტყველებს, ცრუ სიზმრებს რომ ხედავენ, ამბობს უფალი. ყვებიან მათ და აცთუნებენ ჩემს ერს თავიანთი ტყუილებით და ტრაბახით".**

(იერემია. 23,31)

გაზეთმა **„სვობოდნაია გრუზიამ"** 1992 წლის 23 იანვარს (№8) გამოაქვეყნა საუბარი ბატონ ჭაბუა ამირეჯიბთან: სათაურით **„народ не шутит..."**

მას შემდეგ 18 წელი გავიდა... ვიცი, იტყვიან: რაღა დროს ძველი ამბების ქექვაა, ცხოვრება წინ მიდისო!

ცხოვრების წინსვლა თუ უკუსვლა, განვითარება თუ დეგენერაცია მთლიანად დამოკიდებულია ქვეყნის წარსულის მემკვიდრეობაზე, რითაც აწმყო და მომავალი იქმნება. ეს კანონზომიერება ბრძენმა კაცმა, დიდმა ილიამ ლაკონურად თქვა: **„აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა"!**

ჩვენი წინაპრები რუდუნებით ქმნიდნენ იმ სულიერ მემკვიდრეობას, რომლის ხელთუქმნელი საუნჯიდან მომდევნო თაობები საზრდოობდა. ამ სულიერმა მემკვიდრეობამ შეაძლებინა ქართველ ერს მტერზე გამარჯვება დიდი განსაცდელების ჟამს, შეაძლებინა ქართული სულიერი წყობის, კულტურის, ტრადიციების, ფიზიკური იერ-სახის შენარჩუნება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა...

სულიერი მემკვიდრეობის შეცვლა-დამახინჯება აუცილებლად გამოიწვევს მომდევნო თაობათა ზნეობრივ გადაგვარებას, საზოგადოდ ერის კვდომას, ასიმილაციას...

მრავალი ჭეშმარიტი მამულიშვილი შეშფოთებულია საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით, ცრუ წინასწარმეტყველთა, მუცლითმეზღაპრეთა, მოტრაბახეთა უსაშველო ზაკვით... მაგრამ შეშფოთება და საპროტესტო განწყობილება წახდენილ საქმეს ვერას უშველის თუ დავივიწყებთ იმ არც თუ შორეულ წარსულს, როცა ძალადობრივად დაიწყო ერის სულიერი მემკვიდრეობის ნგრევა, რამაც დღეს აპოგეას მიაღწია.

დამახინჯებულმა სულიერმა მემკვიდრეობამ შვა დამახინჯებული აწმყო ეროვნული ნიჰილიზმით, **„ჯეობარული"** სულით, უვიცობით, უზნეობით, კუთხური და რელიგიური გათიშულობით, შიშველი პრაგმატიზმით, სოდომით და გომორით...

წახდენილ საქმეს ვერ ვუშველით თუ არ ვეცდებით აღვადგინოთ ის სულიერი მემკვიდრეობა, რომელმაც 90-იან წლებში ერი ერთ მუშტად შეკრა, რომელმაც ეროვნული ენერგია მიმართა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ, გაძლიერებისკენ, გარსმოჯარული მტერმოყვარის ალაგმვისაკენ, თავისი ადგილის მიჩენისაკენ...

**„ყოველგვარ რევოლუციას თან მოსდევს კონტრრევოლუცია..." – ბრძანებს მწერალი, – „დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში კონტრრევოლუციას სოციალური საფუძველი არ აქვს. უკმაყოფილებას მხოლოდ სეპარატისტები აღვივებენ ზვიად გამსახურდიას პიროვნების კულტის ფონზე".**

გამოჩნდა **„დიდი მოაზროვნე"** კოსმოპოლიტი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი, რომელიც 1990 წლის მრავალპარტიულ არჩევნებამდე ადრე აქტიურად ალაპარაკდა ქართულ ნაციონალიზმზე და შოვინიზმზე, დიქტატურაზე, პროვინციულ ფაშიზმზე, ერის ჩამორჩენილობაზე... ანუ დაიწყო იმ სულიერი მემკვიდრეობის ნგრევა, რომლითაც იყო დამუხტული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა.

**„დიდ მოაზროვნეს"** ხმა შეუწყეს **„ინტელექტუალებმა"**... მამარდაშვილმა შვა დღევანდელი თევზაძეები, ლომაიები, დარჩიაშვილები, თარგამაძეები, პაიჭაძეები, თევზაძეები, ჯგერენაიები, რამიშვილები...

ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ გადაგვარებული მემკვიდრეობით შობილნი დღეს ასე დაუნდობლად უტევენ ქართულ ენას, ქართულ ცნობიერებას, ილია ჭავჭავაძეს, უნივერსიტეტს, მართლმადიდებლობას...

**„თანამედროვეობის უდიდესი ფილოსოფოსის"** (ასე მოიხსენიებდნენ და მოიხსენიებენ მერაბ მამარდაშვილს) არა მხოლოდ კოსმოპოლიტურ-ანტიეროვნული, არამედ ზოგადად მისი **„ფილოსოფიური"** ნაბოდვარი იმ ჭეშმარიტებად აღიარეს, რომელიც საქართველოს **„პროვინციული ფაშიზმის"** ჭირისგან იხსნიდა...

ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი გაზეთ **„სვობოდნაია გრუზიასთან"** საუბარში მკითხველს აუწყებს არა მხოლოდ პირად მოსაზრებებს, არამედ ინტელიგენციის იმ ნაწილის პოლიტიკურ შეხედულებებს, მრწამსს, გუნება-განწყობილებას, რომელიც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას რატომღაც იმთავითვე სკეპტიკურად უყურებდა, ქირქილებდა, არჩევნების შემდეგ კანონიერ ხელისუფლებას დაუპირისპირდა და სახელმწიფო გადატრიალებას იდეოლოგიური საფუძვლები მოუმზადა.

**ცხოვრების წინსვლა თუ უკუსვლა, განვითარება თუ დეგენერაცია მთლიანად დამოკიდებულია წარსულის მემკვიდრეობაზე, რითაც აწმყო და მომავალი იქმნება. ეს კანონზომიერება ბრძენმა კაცმა ლაკონურად გამოთქვა: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა"!**

თავს უფლებას ვაძლევ, ჩემს საყვარელ მწერალს, ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს მოკრძალებით ვუთხრა ის, რომ იგი ნებსით თუ უნებლიედ იმეორებს პუტჩისტ ინტელიგენტთა შორის მოარულ შეხედულებებს. **„სვობოდნაია გრუზიასთან"** საუბარში გაცხადებული ყოველი არგუმენტი რიოშია! ანუ პუტჩისტი ინტელიგენტების მიერ ატეხილი მაშინდელი ვაი-უშველებელი სიყალბე იყო და ემსახურებოდა ხალხის ცთუნებას!

ბატონი ჭაბუა სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებას **„რევოლუციას"** უწოდებს. ამ **„რევოლუციის"** გარდაუვალობა კი თურმე იმან გამოიწვია, რომ **„ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, დღეს სუვერენულ სახელმწიფოებში, ხელისუფლებაში კომპარტიის ფუნქციონერები მოვიდნენ, რომლებმაც ტყავი სასწრაფოდ გამოიცვალეს და დემოკრატიის ძონძები გადაიცვეს".**

როგორ მოხდა ის, რომ ხელისუფლებაში მოსულმა კომპარტიის ფუნქციონერებმა კომპარტიის წევრ დეპუტატებს უნდობლობა გამოუცხადეს, უფლებამოსილება ჩამოართვეს, უზენაესი საბჭოდან დაითხოვეს?

ამ მოვლენას მოკვდავი ადამიანის ლოგიკით ვერ ახსნი. მოკვდავი ადამიანის ლოგიკა კი გვეუბნება, რომ ხელისუფლებაში მოსული კომპარტიის ფუნქციონერები კომპარტიის წევრ დეპუტატებს უზენაესი საბჭოდან არ დაითხოვდნენ! არ გარეკავდნენ!

**„ტყავგამოცვლილი"** და **„დემოკრატიის ძონძებში გახვეული კომპარტიის ფუნქციონერები"** გასაკვირი არ არის ბოლშევიკები ყოფილიყვნენ, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ **„ინტელიგენცია"** ეროვნულ მოძრაობას ნეობოლშევიზმს უწოდებს!

**„თავის დროზე, მოძრაობა რომელსაც ზვიად გამსახურდია მეთაურობდა, პროფესორმა თენგიზ ბუაჩიძემ განსაზღვრა როგორც ნეობოლშევიზმი..."** – ბრძანებს ბატონი ჭაბუა.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში **„პროფესორობა"** და **„მწერლობა"** სულაც არ ყოფილა ინტელექტის კრიტერიუმი.

სიცრუე, ცილისწამება, ბეზღობა!

აი, რა ყოფილა მაშინდელი ინტელიგენციის ერთი ნაწილის აზროვნების პროდუქტი!

აი, რა დროს და როგორ იწყებოდა ქართული ეროვნული სულის ვერაგული ნგრევა!

აი, როგორი მეთოდებით ხდებოდა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის სახელის შელახვა და მისი სრული დისკრედიტაცია!

**„საქართველოში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თუ რამე შეიცვალა, მოხდა სოციალისტური სისტემის გამკაცრება. პროფესორ ბუაჩიძის ტერმინი, როგორც ვხედავთ, მართებულია."** – ბრძანებს ბატონი ჭაბუა.

ცრუ სიზმრის მოყოლას ჰგავს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების შემდგომ ეროვნული ხელისუფლების მიერ კომუნისტური სისტემის ოფიციალური უარყოფა სოციალისტური სისტემის განმტკიცება-გამყარება ყოფილა!

**„ქართველები სხვებზე ადრე მიხვდნენ, რასთან აქვთ საქმე და ნეობოლშევიზმი უარყვეს... რევოლუცია 22 დეკემბერ-7 იანვარს მოხდა. დაემხო დიქტატურა".** – ბრძანებს ბატონი ჭაბუა.

მაინც რა მიხვედრილები ვყოფილვართ ქართველები!

**„ხომ არ გამორიცხავთ იმას, რომ ამ გზას სხვებიც დაადგებიან?"** – ეკითხება თაფლად ქცეული კორესპონდენტი.

მწერალი პასუხობს: **„ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს პროცესი გარდაუვალია „ესენგეში" შესული ყველა ქვეყნისათვის... დრო გვიჩვენებს მართალი ვარ თუ არა".**

დრომ გვიჩვენა, რომ მართალი არ არის. რაღა დარჩა **„ღრმა დარწმუნებისაგან"**?

ის, რაც საქართველოში მოახდინეს მოღალატე ქართველებმა უცხოეთის ქვეყნების სპეცსამსახურების დაკვეთით და დახმარებით, **„ესენგეში"** შემავალ სხვა ქვეყნებში ნამდვილად არ მომხდარა.

**„ესენგეში"** შემავალი ქვეყნების ინტელიგენცია ქართველებზე ადრე მიხვდა, თუ **„რასთან აქვთ საქმე"**, გამოიჩინა პოლიტიკური გამჭრიახობა და საკუთარი სამშობლო და ხალხი სახელმწიფო გადატრიალებებით, სამოქალაქო ომებით, შეიარაღებული კრიმინალური ბანდების თარეშით, ძირძველი ტერიტორიების დაკარგვით დასაღუპად არ გაუწირავს. ამ ქვეყნებში რევოლუციად მონათლული სახელმწიფო გადატრიალებები არ მომხდარა.

ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი კი ბოლშევიზმის ერთ-ერთი შემოქმედისა და მამამთავარ ლევ ტროცკივით პერმანენტულ მსოფლიო რევოლუციებს მოელოდა...

არის თუ არა ეს ცრუ წინასწარმეტყველება?

**„ყოველგვარ რევოლუციას თან მოსდევს კონტრრევოლუცია..."** – ბრძანებს მწერალი, – **„დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში კონტრრევოლუციას სოციალური საფუძველი არ აქვს. უკმაყოფილებას მხოლოდ სეპარატისტები აღვივებენ ზვიად გამსახურდიას პიროვნების კულტის ფონზე".**

ძნელი მისახვედრი სულაც არ არის: **„დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში" „კონტრრევოლუციას"** მეგრელი სეპარატისტები აღვივებენ!

აი, რა დროს და როგორ იწყებოდა ეროვნული სულის ვერაგული რღვევა!

**მეგრული სეპარატიზმი...** იგი დღესაც მოდაშია ქართულ გვარებს თავშესაფერებულ უცხო თესლისათვის...

**„რევოლუციის"** გამარჯვებით გაბრუებული საუბარი, ცხადია, ნათელ ფერებში უნდა დამთავრებულიყო... ასეც მოხდა... კითხვაზე, თუ როგორი პროგნოზი აქვს მომავალზე, ბატონმა ჭაბუამ უპასუხა: **„ყველაზე ნათელი!"**

ცხოვრებამ მალევე დაგვანახა, რომ **„ნათელი მიმავალი"** საპნის ბუშტივით გასკდა, ხელში კი ვირის თავ-ფეხი შეგვრჩა!

შეგვრჩა შევარდნაძე-სიგუას ხელისუფლების მიერ გაპარტახებული ქვეყანა... პრიხვატიზაცია... მოსახლეობის არნახული ძარცვა... სისხლი და ცრემლი... შეიარაღებული ბანდების დაუსჯელი თარეში... დაკარგული ტერიტორიები... ასეულ ათასობით დევნილი საკუთარ სამშობლოში... უზნეობის აპოლოგია... **„უხსენებლის"** უჯიშო მემკვიდრეები...

თუ ამ საშინელებათა აღქმა და ანალიზი არ შეუძლია ინტელიგენციის თვალსა და გონებას, მაშინ ინტელიგენცია როგორღაა? და თუ ხედავდა და გულს უკლავდა სამშობლოს ტრაგედია, მაშინ წინ რატომ არ აღუდგა მისთვის საძულველი კომპარტიის ფუნქციონერის ტიპიური წარმომადგენლის ედუარდ შევარდნაძის მოღალატურ პოლიტიკას ისეთივე რევოლუციური მგზნებარებით, როგორიც იყო იგი **„ნეობოლშევიკ"** და **„დიქტატორ"** ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების **„მხილებისა"** და დამხობის დროს?

**„народ не шутит..."** – ამ სიტყვებით იწყებს საუბარს ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი, მაგრამ კვლავ ცდება: ამდენი **„შუტებისა"** და შოუების შემყურე ხალხი კიდეც **„шутит"** და კიდეც ალამებს და ათენებს ტოტო კუტუნიოს კონცერტებზე...

**„Так вот: грузинский народ в борьбе за демократию шутить не собирается!"** – ამ სიტყვებით ამთავრებს საუბარს ბატონი ჭაბუა გაზეთ **„სვობოდნაია გრუზიასთან"**.

ჭეშმარიტად! **„რევოლუციებით"** მოპოვებული დემოკრატიის ხელყოფას კი ნამდვილად არავის ვაპატიებთ, იმ დემოკრატიისა, რომელიც სულ მალე ლესბოსელობასა და და გეიობას დაგვიკანონებს!

გიხაროდენ!

ყოველივე ეს თქვენი დამსახურებაა, წინასწარმეტყველო ბატონებო!

**თენგიზ კუბლაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერაბიშვილის შავი სია

*საქართველო უკვე შეეჩვია ვიდეოკამერებისა და ჟურნალისტების თანხლებით, ხმაურიანი, გაპიარებულ სპეცოპერაციებსა და დაჭერებს. იჭერენ ყველას, მაღალჩინოსნებიდან დაწყებული ჟურნალისტებით დამთავრებული.*

*ჰოლივუდის ვარსკვლავები არ ჩანან ისე ხშირად ეკრანზე, როგორც შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავჯდომარის მოადგილე სოსო თოფურიძე. არ არის გამორიცხული, რომ თოფურიძე ოსკარზეც წარადგინო დაჭერების საუკეთესო შესრულებისთვის.*

*ბევრი ჩინოვნიკი დაიჭირეს სხვადასხვა კორუფციული ბრალდებებისთვის, ვისთანაც გაუვიდათ დიდი ოდენობით ფულიც „შეაწერეს", ვინც არ გადაიხადა, ციხეში გამოამწყვდიეს. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ნადირობის სეზონი შევარდნაძის იმ ჩინოვნიკთა დაჭერით გაიხსნა, რომლებიც სააკაშვილს თავლში ეჩხირებოდა. ეს შავი სია ჯერ კიდევ არ არის გადახაზული, რადგან ზოგიერთი ჩინოვნიკი ან არ დაიჭირეს, ან მიზეზთა და მიზეზთა გამო ვერ დაიჭირეს.*

*ვესაუბრებით იმერეთის ყოფილ გუბერნატორს თემურ შაშიაშვილს:*

– შაშიაშვილს ვერავინ დაიჭერს, რადგან დასაჭერი თვითონ არიან. ისინი კარგად მიცნობენ. ვიცი, რომ ჩემი დაჭერა უნდათ, მაგრამ ვერ დამიჭერენ. მე სხვანაირად ვიცხოვრე, არანაირ კორუფციაში არ გავრეულვარ. ჩემი გუბერნატორობის დროს სხვადასხვა ცნობილი პროფესორები ქუთაისში ჩამოდიოდნენ და ლექციებს კითხულობდნენ. ქუთაისში ვითარდებოდა განათლება და კულტურა და ბედნიერი ვარ, რომ ეს ჩემი გუბერნატორობის დროს ხდებოდა.

**– რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული, რომ ეს ხელისუფლება ვერ დაგიჭერს?**

– სააკაშვილმა როგორ უნდა დამიჭიროს, თვითონაა დასაჭერი. საქართველოში ფული იმ ხალხის ხელში აღმოჩნდა, რომელსაც სიკეთის მოტანა არ შეუძლია. ფულს მაშინ აქვს ძალა, როცა ის ზნეობრივი და წესიერი ადამიანების ხელშია. საქართველოში კი პირიქითაა. ვის დაიჭერს სააკაშვილი, მან ვის უნდა მოსთხოვოს პასუხი, როდესაც მისი ძმის ხელშია ბენზინის მონოპოლია. ეს ხელისუფლება რომ არ იყოს, ბენზინის ფასი განახევრდებოდა. რას ფლობდნენ სააკაშვილის გაპრეზიდენტებამდე მისი ოჯახის წევრები? სადაც არ უნდა ჩახვიდე ყველაფერი სააკაშვილის დედის, ძმის, მამის და ნათესავების კუთვნილებაა.

**– შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს არ იყო კორუფცია?**

– მე შევარდნაძის პრეზიდენტობის დროსაც ვამბობდი, რომ კორუმპირებული იყო მთელი სისტემა და **„მოქკავშირს"** კორუმპირებული სისტემის შექმნაში ვდებდი ბრალს. სააკაშვილს დღესაც იგივეს ვეუბნები, პარლამენტიც და ხელისუფლებაც კორუმპირებილია. **„მოქალაქეთა კავშირის"** და **„აღორძინების"** იდეური მემკვიდრეა **„ნაციონალური მოძრაობა"** და ოპოზიცია.

**– რომელ ოპოზიციაზე ამბობთ?**

– რა თქმა უნდა, საპარლამენტოზე, თარგამაძე და სხვები. რა სიტუაცია შევარდნაძის პრეზიდენტობისას იყო, იგივე სიტუაციაა დღესაც. ახლაც **„ნაციონალური მოძრაობა"** და საპარლამენტო ოპოზიცია ერთად არის. საქართველოში 1992 წლიდან პოლიტიკური ხელისუფლება არ შეცვლილა. სწორედ მაშინ მოვიდნენ მაჭავარიანი, წერეთელი და დღესაც ისინი არიან. ესენი იყვნენ **„მოქალაქეთა კავშირის" „ფაფარაყრილი"** წარმოამდგენლები. დღეს ის ადამიანები, რომლებიც შევარდნაძეს აგინებდნენ, რამდენიმე წლის წინათ მასზე ლოცულობდნენ და მის სახელს ისე ახსენებდნენ, როგორც ღმერთისას.

**– თქვენც ხომ იყავით შევარდნაძესთან დაახლოებული?**

– კი, მაგრამ მასზე არასოდეს არ ვლოცულობდი. პირიქით, ჩემს ერთ გამონათქვამსაც ვერ იპოვით, სადაც მე შევარდნაძეს ვაქებ. ბევრჯერ მითქვამს შევარდნაძისთვის, იპრეზიდენტე თუ შეგიძლია, მაგრამ ამ ხალხს თავზე ნუ დაიჯენ დაღუპავ ქვეყანას-მეთქი.

**– შევარდნაძის მთავრობაში ბევრმა იმდენი ფული იშოვა, რომ ახლა სასახლეებში ცხოვრობენ. რა ქონებას ფლობს თემურ შაშიაშვილი?**

– დედამიწის ზურგზე მამაპაპისეული სახლის გარდა არაფერი გამაჩნია. ქუთაისის მერობის და იმერეთის გუბერნატორობის დროს მთავრობამ ორი ბინა გადმომცა. მამაპაპისეულ სახლში ვცხოვრობდით ოთხი ოჯახი და სწორედ ამიტომ გადმოგვცეს ბინა. იმის გამო, რომ ვიცოდი განათლება იყო უპირველესი, არჩილ კოსტავას, დიდ მეცნიერს, რომელსაც ქუთაისში ბინა არ ჰქონდა ჩემი ბინა ვაჩუქე. მეორე ბინა კი 1993 წელს, როდესაც ქალაქის მერი გავხდი, გადავეცი ვეებერთელა მეცნიერს, მსოფლიოში აღიარებულ ირანისტ მაგალი თოდუას. ეს ბუმბერაზი პიროვნება სასტუმროს ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა.

როდესაც იმერეთის გუბერნატორი ვიყავი, ქუთაისში აწყობილი მანქანით დავდიოდი, დავფრინავდი ქუთაისში გამოშვებული თვითმფრინავით და მეცვა საქართველოში შეკერილი თანსაცმელი. ამას იმიტომ კი არ ვაკეთებდი, რომ ვტრაბახობდი ან ვინმე თავს ვაწონებდი. ძალიან კარგად ვიცოდი, რომ უკეთესი იყო მერსედესი, ცნობილი ბრენდების ტანსაცმელი, მაგრამ ამით ჩემი ქვეყნის პროდუქციას ვუჭერდი მხარს.

**– ჩვენი მინისტრები და პარლამენტარები ძვირადღირებილი მანქანებით დადიან და სხვადსხვა ცნობილი ბრენდის ტანსაცმელი აცვიათ.**

– დღეს საქართველოში ბეჟუაშვილია მილიონერი, იმიტომ რომ სააკაშვილის მეგობარია. **საქართველოში მილიონერი უნდა იყოს, ჭაბუა ამირეჯიბი, მუხრან მაჭავარიანი, მერაბ ბერძენიშვილი, ოტია იოსელიანი, რობერტ სტურუა, გიგა ლორთქიფანიძე,** მაგრამ ეს ბუმბერაზი ადამიანები დღეს სულს ღაფავენ, სააკაშვილმა კი მილიონერებად ძმები კოდუები, ახალაიები, ბეჟუაშვილები, კუბლაშვილები აქცია. კუბლაშვილს, რომელსაც არაფერი არ ებადა, დღეს სამასართულიანი სახლი აქვს და იცით დეკლარაციაში რა უწერია? თითქოს ეს სახლი მისმა 22 წლის ცოლისდამ აჩუქა. ნახეთ სად ცხოვრობს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი არველაძე. როდესაც შიათ აკადემიკოსებს, რეჟისორებს, კულტურის სფეროს წარმომადგენლებს და პარლამენტარები გახდნენ მილიონერები, შენ რა პრეზიდენტი ხარ, შენ ხალხის პრეზიდენტი კი არა, მილიონერი პარლამენტარების ბანდის პრეზიდენტი ხარ. საქართველოში სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ მდიდარი კიდევ უფრო გამდიდრდა, ღარიბი კი უფრო გაღარიბდა. ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბის გამონათქვამია, რომ სიკეთეა გათითოკაცებული და ბოროტება ერთ მუშტად შეკრულიო. ერთ მუშტად შეკრული საქართველოში არის ხელისუფლება და თავისუფლების ინსტიტუტი. თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი რომ გყავს ქალაქის მერად, დაბეჩავებული პრეზიდენტი ხარ, აბა ვინ ხარ.

**ალექსანდრე აკობია**

# კიდევ ერთი წიგნი მეგრული ენის ფენომენზე

გამოვიდა კიდევ ერთი წიგნი მეგრული ენის ფენომენზე, რომლის ავტორია შესანიშნავი მკვლევარი და ენათმეცნიერი ბატონი მურთაზ ჯანჯღავა. წიგნის რეცენზენტის, აკადემიკოს კლიმენტი შელიას მიაჩნია, რომ აღნიშნული წიგნი ქართველური ენების, კერძოდ კი მეგრული ენის მეცნიერულად შესწავლა-განვითარების საქმისათვის კარგი შენაძენია.

შესავალ წერილში ბატონი მურთაზ ჯანჯღავა აღნიშნავს, რომ იგი საკმაოდ გვიან – ორმოცდაათი წლის ასაკში შედგომია მეგრულ ლექსიკაზე მუშაობას. **"მეგრული ენის საკითხზე მუშაობამ უკიდეგანო სამყარო მომაგონა თავისი უთვალავი ვარსკვლავებით, პლანეტებით და სხვა პატარა ციური სხეულებით. შეურაცხმყოფელია მეგრული ენისათვის მისი კუთხურ ენად მოხსენიება. ეს ენა მედიცინის, მეტალურგიისა და კარტიგრაფიის შემოქმედი კოლხი ხალხის ენის მემკვიდრეა",** – აღნიშნავს ავტორი. და მართლაც, საეჭვოა, რომ მეგრულ ზმნას პრეცედენტი მოეძებნებოდეს ენათა შორის. გარკვეული კატეგორიის მეგრული სიტყვები ფონემურ-სტრუქტურული აგებულებით უაღრესად დახვეწილია.

ავტორის ყურადღება მიიპყრო მეგრულ სიტყვებში თანხმოვან ბგერათა იდუმალმა მეტყველებამ. ამ ენის ზმნები შინაარსობრივად მრავალმხრივად ფართო ტევადობისაა, ეს ენა, უტყუარად გვიჩვენებს მისი განვითარების ძალზე ხანგრძლივ პერიოდს. ჯანჯღავას წიგნში მრავალი სიტყვა სიზუსტით არ არის გადათარგმნილი მისი შინაარსის ფოტოგრაფიული ტევადობის გამო. თვით ხალხშიც კი ამა თუ იმ სიტყვას განსხვავებულად ხსნიან, რადგან უბადლო მეგრულის მცოდნე პიროვნებები დღეს სამეგრელოშიც კი თითქმის სანთლით არიან საძებნი.

სწორედ ბატონმა მურთაზ ჯანჯღავამ აღმოაჩინა, რომ გარკვეული კატეგორიის სიტყვების ფონემურ-სტრუქტურული აგებულება ემყარება კანონზომიერების სისტემურ პრინციპებს. წიგნში ნაჩვენებია ადამიანთა ფიზიკური გარეგნობის აღმწერი სიტყვებიდან როგორ ხდება ამავე ფუძეებში არსებულ თანხმოვან ბგერებით გადასვლა ადამიანთა განსხვავებული ხმათა ტემბრების აღმწერ სიტყვებში.




უღმერთობიდან ღმერთებამდე, ანუ პოლითეიზმიდან მონოთეიზმამდე კაცობრიობამ განვითარების დიდი გზა გაიარა. ადამიანის აზროვნება ღმერთამდე რომ მივიდა, მისი, როგორც ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბებაც აქედან იწყება უმნიშვნელოვანეს წილად. სწორედ რწმენა გახლავთ ადამიანის სულიერების არქიტექტონიკა, რეალური ძალა, რომელიც ლოკომოტივს წარმოადგენს პროგრესისათვის. ამ უდიდესი რწმენით გამსჭვალულმა მურთაზ ჯანჯღავამ შექმნა მოცულობით პატარა, მაგრამ შინაარსით ვეებერთელა წიგნი, რომლის მეცნიერული ღირსებაც მკითხველმა უნდა შეაფასოს.

მას შემდეგ, რაც ცნობილი ქართველი პოლიტოლოგისა და მეცნიერის ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივით შეიქმნა სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"**, ეს ორგანიზაცია ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ სათანადო ცოდნითა და ყურადღებით მოვეპყროთ მეგრულ ენას, როგორც ზოგადქართული კულტურის ხელთუქმნელ ძეგლს. მეგრულ და სვანურ ენებს სახელმწიფომ უნდა შეუქმნას განვითარების თანაბარი პირობები. 2001 წლის 12 ოქტომბერს, ზუგდიდში გამართულ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** მეორე ყრილობაზე ბატონმა ალექსანდრემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ **"წლების განმავლობაში ენა, რომელზეც ქართველთა ერთი მესამედი ლაპარაკობს, უძველესი ენა, რომლის ლექსიკური მარაგი ერთ-ერთი უმდიდრესია მთელ მსოფლიოში, ქართველების მიერვე ხან კილოთი, ხან დიალექტით, ხან დამახინჯებულ ქართულ ენად იწოდებოდა"** და იქვე შეგვახსენებს დიდი აკაკის სიტყვებს: **"მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყენს. და მეგრულ ენაში კი შენახულია მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერალ მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსოს დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი..."**

ამ აზრის განსამტკიცებლად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ შოთა რუსთაველს თავის უკვდავ **"ვეფხისტყაოსანში"** უამრავი მეგრული სიტყვა აქვს გამოყენებული. დღეს კი, მავანთ, უკუაგდებული აქვთ შესანიშნავი სიტყვა **"მაფშალია"** და კვლავაც იყენებენ სპარსულ სიტყვა **"ბულბულს"**.

პროფესორ კლიმენტი შელიას წიგნში **"კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე"** აღნიშნულია **" ... ცივილიზებული სამყაროს არც ერთ ენათმეცნიერს საკამათოდ არ მიაჩნია, რომ მეგრული ენა არის მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი, ერთ-ერთი პირველი ენა"**. ამავე წიგნში ვკითხულობთ 1926 წელს კოწია კაპანელის მიერ თავის წიგნში **("სული და იდეა, ბიოფსიქიზმი და კოსმიზმი")** მოყვანილ ციტატებს პროფესორ ნიკო მარის სიტყვებიდან: **"...მაგრამ, ბევრჯერ უფრო საყურადღებოა მეგრული ენის ვერბალური სიმდიდრე იშვიათი ფსიქოლოგიური სიღრმით და ისეთი ნიუანსების აღნიშვნით, რომელთა გარკვეულ ცნებაში გადატანა დიდ მეცნიერსაც გაუჭირდება"**.

დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება სხვა ქვეყანა, გარდა საქართველოსი, სადაც ცხოვრობდნენ ქალდეური მოდგმის შთამომავალი ხალხები. კარდუხები (ქართები), სვანები და მეგრელები სწორედ რომ ქალდეურ მოდგმას განეკუთვნებიან. ყოველი ქართველისათვის დიდად საამაყო უნდა იყოს, რომ საქართველოში ქართულ ენასთან ერთად ცოცხლობენ და მეტყველებენ მეგრული და სვანური ენები.

ეს ენები ქართული ენისათვის უშრეტ მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენენ.

ავტორი ასევე დიდ მადლობას უხდის აკადემიკოს ფრიდონ თოდუას წიგნის გამოცემაში გაწეული გარკვეული ფინანსური დახმარებისათვის. ჩვენ კი, ჩვენის მხრიდან, დიდ მადლობას ვუხდით წიგნის ავტორს ბატონ მურთაზ ჯანჯღავას, რომელმაც რუდუნებით შექმნა ეს წიგნი ასფურცელა.

**როლანდ ჯალაღანია**

## გვისამძიმრებენ ჩვენი გერმანელი მეგობრები

დიდი მწუხარება მოგვგვარა თავზარდამცემმა ცნობამ იმის თაობაზე, რომ კანადის ქალაქ ვანკუვერში ტრაგიკულად დაიღუპა ოლიმპიური თამაშების მონაწილე ქართველი სპორტსმენი **ნოდარ ქუმარიტაშვილი.** ეს გახლავთ აუნაზღაურებელი დანაკლისი და არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს სპორტული სამყაროს ტრაგედია.

ჩვენ წლების განმავლობაში ვმუშაობდით ქართველ ფეხბურთელებთან და კარგად ვიცნობთ როგორც თქვენი სპორსტმენების, ასევე მთელი ქართველი ხალხის გმირულ სულისკვეთებას და ვაჟკაცურ შემართებას. მით უფრო საწყენია, რომ დაიღუპა ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენი, რომელიც მშვიდობიანი გამარჯვებისათვის ჩავიდა ოლიმპიურ ქალაქში. სამწუხაროა, რომ ამ ტრაგედიის მიზეზად იქცა ვიღაცის უგუნურება და გულგრილობა.

ღმერთმა მარადის ნათელში ამყოფოს ლამაზ სიცოცხლესა და დიდ გამარჯვებებს მოწყურებული **ნოდარ ქუმარიტაშვილის** სული.

ჩვენ, როგორც მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება, თანავუგრძნობთ სრულიად საქართველოს და ვუსურვებთ, რომ მის წიაღში კვლავაც გამოზრდილიყვნენ სპორტსმენები, რომლებიც მსოფლიო სპორტის მშვენებად იქნებიან აღიარებულები.

ჩვენ გვახსოვხართ, ძალიან გვიყვარხართ, დიდ პატივს გცემთ და მუდამ თქვენდამი თანაგრძნობით ვიქნებით გამსჭვალულები.

მარად საქართველოს მეგობრები და კეთილისმსურველები,

**კლაუს ტოპმიოლერი, ჰაინც ტოპმიოლერი, ჰერბერტ ცანკერი, რალფ მინგე, პიტერ სერგტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "საუკეთესო საფეხბურთო კლუბები" გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "საუკეთესო საფეხბურთო კლუბები"

# მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები
## "ფეიენოორდი", როტერდამი, ჰოლანდია

**დაარსებულია 1908 წელს,**
სტადიონი: **დე კეიპი** (52.000 მაყურებელი).
**ჰოლანდიის 14-გზის** ჩემპიონი,
**ათჯერ დაეუფლა** ქვეყნის თასს,
1970 წელს დაეუფლა **საკონტინენტათაშორის თასს,**
1970 წელს გახდა **ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი,**
**უეფას თასს დაეუფლა** 1974 წელს.

საკმაოდ შთამბეჭდავი სპორტული ისტორიის მქონე საფეხბურთო კლუბი, ჰოლანდიის ქალაქ როტერდამის **"ფეიენოორდი"** დააფუძნა ჰოლანდიის სამთომომპოვებელ სფეროში მოღვაწე ბიზნესმენმა, სპორტის დიდმა მოყვარულმა და სპონსორმა კ.რ. კიბოომმა.

მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ევროპულმა ფეხბურთმა განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა და ამ მხრივ ჰოლანდიური ფეხბურთიც გამორჩეული იყო. იმდროინდელი გუნდის კაშკაშა ვარსკვლავი გახლდათ მარცხენა ფლანგზე მოთამაშე ნახევარმცველი პაკ ვან ჰეელი, რომელიც ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობდა 1934 და 1938 წლების მსოფლიო ჩემპიონატში. მის მიერ დამყარებული რეკორდი (მან 64 მატჩი ჩაატარა ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში) საკმაოდ დიდ ხანს იყო ხელშეუხებელი. მეორე მსოფლიო ომისშემდგომი წლები კრიზისული პერიოდი იყო მთელი მსოფლიოსათვის, რაც უარყოფითად აისახა როტერდამის **"ფეიენოორდის"** თამაშის კლასზეც. შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთელები მაშინ შიმშილობდნენ კიდეც. მაგრამ, საყოველთაო კრიზისი მალე გადაილახა. გუნდის ცხოვრებაში კი ყველაფერი შეიცვალა 1950 წლის დასასრულიდან, როცა ჰოლანდია ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა და აქ საბოლოო დამკვიდრდა პროფესიული ფეხბურთი.

კლუბის აღმავლობა გამოიხატა იმაში, რომ მან მოიპოვა ქვეყნის ყველა უმაღლესი ტიტული და მალე ჰოლანდიის ფარგლებს გარეთ გაიტანა ამ ქვეყნის სპორტული დიდება. 13 წლის განმავლობაში **"ფეიენოორდი"** ექვსჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი, 1965 და 1969 წლებში შეასრულა **"ოქროს დუბლი"**, როცა ჩემპიონიც გახდა და ჰოლანდიის თასსაც დაეუფლა. მაშინ კლუბის ღირსებას იცავდნენ ფეხბურთის ისეთი დიდოსტატები, როგორებიც იყვნენ მეკარე ედი პიტერს-გრააფლანდი, რომელიც როტერდამის გუნდმა **"აიაქსისაგან"** შეიძინა, იმ დროისათვის ზღაპრულ თანხად – 20.000 ფუნტ სტერლინგად, ასევე, ნახევარმცველები რაინერ კრაიერმაატი, ჰანს კრააი და იან კლასენსი, ასევე მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი, მარცხენა ფლანგზე მოთამაშე თავდამსხმელი კუნ მულეინი.

გუნდის **"ტრიუმვირატი"** – კუნ მულეინი, ლეგიონერი, შვედი ბომბარდირი უვე კინდვალი და ფიზიკურად ძლიერი და განუმეორებელი საფეხბურთო ტექნიკის მქონე ნახევარმცველი ვინ ვამ ჰანეგემი წარმოადგენდა ჰოლანდიური გუნდის დამკვრელ ძალას, რომელთა დაწოლას ძნელად თუ უძლებდნენ ევროპის გამოჩენილი გუნდებიც კი. სწორედ **"ფეიენოორდის"** ამ ბირთვის წყალობით დაეუფლა გუნდი 1970 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს. გათამაშების ფინალში, რომელიც იტალიის ქალაქ მილანში გაიმართა, **"ფეიენოორდმა"** დამატებით დროში დაამარცხა გლაზგოს **"სელტიკი"**.

ამ დროისათვის გუნდის მწვრთნელი გახლდათ ფეხბურთის დიდი სპეციალისტი, ავსტრიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მოთამაშე ერნესტ ჰაპელი, რომელმაც გუნდში მოსვლისთანავე დაატყო ხელი კოლექტივს. ამრიგად, სწორედ **"ფეიენოორდი"**, და არა **"აიაქსი"** გახდა პირველი ჰოლანდიური საფეხბურთო გუნდი, რომელიც დაეუფლა უაღრესად პრესტიჟულ ევროპულ ტროფეის.

მაგრამ **"ფეიენოორდი"** ამ ჯილდოს არ დასჯერდა – მან საკონტინენტათაშორისო თასის ფინალში დამაჯერებლად დაამარცხა არგენტინული გუნდი **"ესტუდიანტეს დელა პლატა"** და მსოფლიო საკლუბო გუნდების ჩემპიონთა თასსაც დაეუფლა.

1974 წელს როტერდამის **"ფეიენოორდმა"** თავისი სპორტული კოლექცია კიდევ ერთი უმაღლესი ჯილდოთი გაამდიდრა – იგი უეფას თასის მფლობელი გახდა სწორედ ვან ჰანეგემის ბრწყინვალე თამაშით, რომლის წყალობითაც **"ფეიენოორდი"** მყარად ფლობდა მოედნის შუახაზს. შემდეგ თავი იჩინა კრიზისმა და გუნდმა პოზიციები დათმო თვით ჰოლანდიურ ფეხბურთში. ფინანსური პრობლემების გამო როტერდამელთა გუნდი იძულებული შეიქმნა, რომ უძლიერესი ფეხბურთელები გაეყიდა. ასე წავიდა გუნდიდან რუუდ გულიტი, რომელიც თავის დროზე **"ფეიენოორდმა"** აღმოაჩინა **"ჰარლემში"** და წამოიყვანა. გულიტი **"ეინდჰოვენმა"** შეიძინა, მაგრამ იგი, ასევე მოულოდნელად წარმოქმნილი ფინანსური კრიზისის გამო, მალე მიჰყიდა იტალიის გუნდ **"მილანს"**.

**"ფეიენოორდს"** სადაგი დღეები დაუდგა, როცა მას მწვრთნელად დაუბრუნდა წარსულში ამავე გუნდის ყოფილი წარმატებული მოთამაშე ვიმ იანსენი. იგი, ამავე დროს, ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების წევრი გახლდათ და მონაწილეობდა 1974 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში, სადაც ჰოლანდიელებმა იანსენისა და სხვა ცნობილი ფეხბურთელების შესანიშნავი თამაშის წყალობით მოაღწიეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს.

ახალი მწვრთნელის დამსახურება გახლდათ ის, რომ როტერდამის **"ფეიენოორდმა"** მოახერხა ძალების კონცენტრაცია და 1993 წელს იგი ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა.

გიორგი ჯალაღანია



## იუმორი

* * *

"ახალი ქართველი" ფსიქიატრთან არის მიღებაზე:
– ესე იგი, თქვენ ამტკიცებთ, რომ გადასახადებს ყოველთვის სიხარულით იხდიდით? და დიდი ხანია, დაგეწყოთ ეს?

* * *

– კოლეგა, როგორაა თქვენი პაციენტი, ახირებული რომ ჰქონდა, მოსაკლავად დამდევენო?
– მკურნალობის კურსმა შესანიშნავი შედეგი მოგვცა, მაგრამ საავადმყოფოდან გავიდა თუ არა, ვიღაცამ მოკლა...

* * *

თუ თქვენ გინდათ, იქორწინოთ ჭკვიან, ლამაზ და მდიდარ ქალზე, სამჯერ დაქორწინება მოგიწევთ...

* * *

– არა ხარ მართალი, წაქცეულისთვის აღარ უნდა დაგერტყა!
– წაქცეულისთვის, თორემ, შენ წამიქციე...

* * *

– იცოდე, რომ მიღალატო, საფლავში გადავბრუნდები!.. – დაუბარა მომაკვდავმა სეროჟამ ცოლს.
გამოხდა ხანი, სეროჟას ცოლიც მოკვდა. გადაწყვიტა ქმარი მოეძებნა საიქიოში.
– სეროჟასთან ვერ მიმასწავლით? – ჰკითხა მან პირველსავე შემხვედრს.
– რომელ სეროჟასთან, "ვენტილატორად" რომ მუშაობს?

## სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას **„ეფრემ ვერდის"** წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ:
– **ჭიდან წყლის ამოღება** – კეთილი ნიშანია და შემატება;
– **ჭაში ჩავარდე** – მეტისმეტი შეჭირვებისა და მოწყენილობისაა;
– **ჭიანჭველების ნახვა** – კარგია და კეთილი, **მხოლოდ დახოცვა** – ცუდია;
– **ხატვა ნახო რაიმესი** – კეთილს დაამხობ;
– **ხიდი ჩაგიტყდეს ანუ ჩატეხილი ნახო** – სიკვდილის ნიშანია;
– **ხელგახსნილი შენი თავი ნახო** – სიმდიდრეს მალე მოეწევი;
– **ხორცის მჭამელი ფრინველი თუ ნახე** – ცუდი ამბავია;
– **ხმა ტკბილი გესმოდეს** – სასიხარულო დღეებს მოეწევი;
– **ხარის ნახვა** – ხან კეთილია და ხანაც ავი საქმე;
– **ხეს ფოთოლი სცვივოდეს** – ომიანობის და ჩხუბის ნიშანია;
– **ხე ნაყოფის მომცემი** – კარგია, სარჩო და საცხოვრებელი შეგემატოს;
– **ხის წაქცევა** – კაცის სიკვდილს მოასწავებს.

# ვახტანგ გაბელია იუბილარია

რა უცებ გასულა დრო, ჩემო ვახტანგ. საკუთარი ასაკისათვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია, მაგრამ, როცა შევიტყე, რომ შენ (ჩემზე 8 წლით უმცროსი) 25 თებერვალს 60 წლის გახდები, მაშინ მივხვდი, რომ დრო მოგვძალებია...

მაგრამ ასაკი ყოველთვის არ ნიშნავს სიძაბუნეს, მით უმეტეს შემოქმედი ადამიანისათვის, რომელიც ყალამსა და საჭრეთელს არ უშვებს ხელიდან და დღედაღამ, სიცივესა თუ სიცხეში, შიმშილისას თუ ავადმყოფობისას ქმნის ნახატ-შედევრებს, რათა ნათელი კვალი დაუტოვოს მომავალ თაობებს.

თითქმის ყმაწვილი ბიჭები ვიყავით, "ხელოვნებაში" რომ დავიწყეთ მუშაობა. აუუუჰ, რა დრო გასულა!

შენი კარგი ბიჭობა იმითაც დაამტკიცე, რომ ტოტალური ძარცვა-გლეჯის მიუხედავად, რომელიც საქართველოში მძვინვარებდა და მძვინვარებს, მაშინ, როცა უდიდესი გამომცემლობები გაიყიდა, გასაჩუქრდა ან გაკოტრების გამო გაუქმდა, შენ შეინარჩუნე გამომცემლობა "ხელოვნება" და იგი დღესაც ფუნქციონირებს.

დიდი მადლობა შენ, ამისათვის!

დიდი მადლობა გამომცემლობა "ხელოვნების" ყოფილი დირექტორების ოთარ ეგაძის, ნიკოლოზ ჯაშის, ედუარდ სიხარულიძის, გამომცემლობის ყველა იმ თანამშრომლის სახელით, ვინც დღეს ცოცხალი არ არის, მაგრამ სიცოცხლეში გარკვეული სიკეთე შესძინეს გამომცემლობა "ხელოვნებას".

დიდი მადლობა შენს დედიკოს, ქალბატონ ვერა გრიგოლაიას, შესანიშნავ მოქალაქეს და ღვაწლმოსილ პედაგოგს, შენნაირი ვაჟკაცი შვილის აღზრდისათვის. ნათქვამია, ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ ეცემაო, ამიტომაც ვემადლიერებით შენს დედიკოს, რომელიც, მარტოდ მყოფი, მამისეულ კერას არ გიცივებს სენაკის რაიონის სოფელ უშაფათში. დიდი მადლობა იმ პედაგოგებს, ვინც სამშობლოსა და მშობელი ერის სიყვარული დაგანათლა და გზა გაგიხსნა საზოგადოებრივ ასპარეზზე!

ჭეშმარიტად დევკაცი ხარ, ამირანის გარეგნობისა, მაგრამ შენგან დაჩაგრული ჭიანჭველაც არ დაიარება დედამიწის ზურგზე, კოლხური სიქველე და ზრდილობა გამშვენებს, ჩემო ვახტანგ, ამიტომაც გთვლიან ლამაზ კაცად.

ვაშლი და ვაშლის ხე ვახსენე, და ისიც უნდა დავამატო – ერთი უკმარობის გრძნობა მაწუხებს. მინიშნებით გეტყვი – ვიდრე ჯერ კიდევ ჯანი მოსდგამს ჩემი ასაკის ხალხს და ქორწილში სიმღერა ძალუძს, იქნებ ერთ კარგ ქორწილსაც გვაღირსო.

სხვამხრივ ყველაფერი კარგადაა!

შენი უფროსი მეგობარი,

როლანდ ჯალაღანია

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1 სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

anaklia@web.de
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
899-57-33-22
893-51-01-71
899-34-37-27